ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 11 მაისი 2004 №105 (2124) ფასი 50 თეთრი



DIEGO GOD

გუშინ ბუენოს აირესში ფეხბურთის ღმერთი ფსიქიატრიულში დააწვინეს

მარადონას ნარკოტიკებისგან დახსნის და გადარჩენის ერთადერთ გზად ექიმებმა ესღა მიიჩნიეს

გარიგებით ნათამაშები მატჩი, ბურთს აცდენილი ფეხი, მთვლემარე მცველი და გაჩერებული თავდამსხმელი, ცაში მაყურებელი მეკარე და არსად მაყურებელი მსაჯი, ამასთან ერთად კი მაყურებელი, ბრაზიანი, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, დადუმებული – აი, ჩვენი ფეხბურთის სურათი. ასეა წლიდან წლამდე.

ვინ აწყო, რაც ჩაიწყო ვარდები არ არიან?

გარიგებული თამაში ფეხბურთის კიბოა. კიბო კი ისეთი ავადმყოფობაა, რომ თუკი ვინმე უბედურს სჭირს, იმ თავის ავადმყოფობაზე ფიქრობს და მეტზე ვერაფერზე. ჩვენს საკლუბო ფეხბურთს კი ისე გამოსდის, რომ თითქოს საღი იყოს და არაფერი სჭირდეს, არც ფიქრობს, რომ ავად არის.



ზურაბ ხიზანიშვილმა ჰენრიკ ლარსონი ამოკეტა

ბენეში გლაზგოში ხელდამშვენებული ჩადის

ერთი კვირაც და, არველაძე-ხიზანიშვილის „რეინჯერსი“ სეზონს ჩაამთავრებს. გასულ უქმეებზე „რეინჯერსმა“ მეხუთე „ოლდ ფირმიც“ წააგო ამ მისთვის წარუმატებელ სეზონში — „სელტიკთან“ სტუმრად 0:1 დამარცხდა. ჩვენთვის კი მნიშვნელოვანი ის უნდა იყოს, რომ ზურაბ ხიზანიშვილმა „რეინჯერსში“ ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ითამაშა.

— პირველი ტაიმი სანახაობრივად მართლაც კარგი იყო, მაგრამ შესვენების შემდეგ „სელტიკმა“ მაგრად შემოგვიტია, გაუთავებელი ფლანგური ჩაწოდებებით და კუთხურებით მოსვენებას არ გვაძლევდა, თუმც გოლი არაფრისგან გაგვიტანა მსაჯის მიერ დამატებულ მეორე წუთზე — არეულობაში ბურთი შემთხვევით კრის სატონს მიუვიდა, რომელმაც საჯარიმოს გარედან შეაგდო — ჩვენი მეკარე შტეფან კლოსი ოდნავ წინ იყო გამოსული და...

— რეინჯერსელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო შენ იყავი...

— თითქმის მთელი მატჩი ჰენრიკ ლარსონის წინააღმდეგ მიწევდა თამაში, ჩემი გარჯით „რეინჯერსის“ მწვრთნელი ალექს მაკლიშიც კმაყოფილი დარჩა, მაგრამ ამას საერთო კმაყოფილება არ გამოუწვევია — ჩვენ ხომ წავაგეთ.

— შენი და შოთა არველაძის აგენტი ივან ბენეში როდის ჩამოგაკითხავთ გლაზგოში?

— ბენეში ამ კვირაში ჩამოვა და მისგან სიახლეებს ველი. როცა ბენეშს უშუალოდ შევხვდები და დავილაპარაკებთ, ბევრ რამეს შევიტყობ.

— მაშ, ბენეში ხელდამშვენებული, ახალი კარგი გუნდის ვარიანტით ჩამოდის გლაზგოში?

— იმედი მაქვს, ასე იქნება, თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ „რეინჯერსიდან“ გაქცევაზე მიჭირავს თვალი.

დავით თავგართქილაძე

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

ფეხბურთი

დავით ყიფიანის თასის ფინალი

დინამო თბილისი



ბორპედო ქუთაისი

26 მაისი. ლოკომოტივის სტადიონი.

დასაწყისი 20:00

პროფესიული ფეხბურთის ლიგა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გეპატიჟებიან ფინალურ მატჩზე. მობრძანდით, ისიამოვნეთ ფეხბურთით, თქვენ გელით სიურპრიზები ლიგის გენერალური სპონსორისაგან და ასევე პროფლიგის და სფფ-ის პარტნიორებისაგან

დინამო კიევშია

გუშინ 19 საათზე თბილისის „დინამო“ კიევში ჩაფრინდა და ოთხვარსკვლავიან სასტუმრო „რუსში“ დაბინავდა. დინამოელები ხვალ ვალერი ლობანოვსკის სახელობის ტრადიციულ ტურნირში ჩაებმებიან. საქართველოს ჩემპიონები სასტუმროში ყოფილმა თანაგუნდელმა, კიევის დინამოელმა ალეკო ამისულაშვილმაც მოინახულა. შესაძლოა, ალეკომ სწორედ ამ ტურნირზე ითამაშოს კიეველთა რიგებში. „ბოლო ტურის მატჩში „ბორისფენთან“ კიეველებმა საშინლად ითამაშეს, განსაკუთრებით დაცვაში. ამ მატჩის შემდეგ ძირითადში ადგილის დამკვიდრების შანსი გამეზარდა. თუმცა ახლა ყველაზე მეტად ის მახარებს, ყოფილ თანაგუნდელებს რომ შევხვდე“ — გვითხრა გუშინ ალეკომ, კიევში რომ შეევხმიანეთ.

გუშინვე დინამოელებმა მსუბუქად ივარჯიშეს, ფეხბურთელები თავს კარგად გრძნობენ და გუნდი ტურნირზე ძირითადი შემადგენლობით წარდგება.

ლობანოვსკის სახელობის ტურნირს არაერთი გუნდის საუკეთესო დაესწრებიან. ახლაჯე შეიძლება ითქვას, რომ კიევში „დინამო“ ორ თბილისელს გამორჩევით დააკვირდება — სანდრო იაშვილს და კიევის „დინამოში“ უკვე ნამყოფ ლადო ბურდულს.

ხვალ თბილისელები მოლდოვურ „შერიფს“ შეხვდებიან და თუ მოიგებენ, ფინალში გავლენ, სადაც კიევის „დინამოსა“ და რიგის „სკონტოს“ წყვილში გამარჯვებულს დაუპირისპირდებიან.

დავით ერაძე

მცხეთა. 10 მაისი. 18 საათი. არმაზი. 50 მაყურებელი

ვიტ ჯორჯია მცხ. 1:0 ამერი

ხ0 კვახაძე (5)

ვიტ ჯორჯია მცხ.:	ამერი:
მუჯრიშვილი, ლომაია, კვახაძე, ხარბედია, ჯაფარიძე, გულბათაშვილი (სოზაშვილი 70), ინჯგია, ცხომარია (ჯოჯუა 78), სამსიანი (ბეჭვაია 89), ბუჯიაშვილი, მანწკავა	ასლანაძე, კედელაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი, სილაგავა, განუგრავა, გარუჩავა, ვერემჩუკი (წინამძღვრიშვილი 77), ელბაქიძე (ხუბუა 56), კაიდარაშვილი (გოცირიძე 82), რუსია
მწვრთნელი: ირაკლი უშვერიძე	მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

გაფრთხილება: რუსია (31), ხვადაგიანი (46), ინჯგია (66)

მსაჯები: ჯ. ბუიშვილი; დ. ხარიტონაშვილი, ე. ნარმანია; ლ. ფანიაშვილი

ჭეშმარიტება ძველი და სრული: თამაშს აკეთებს სული

პაატა კვანტალიანი მცხეთიდან

მოსაგებად მარტო სურვილი არ კმარა. ცხადია, მიზნის მისაღწევად ბევრი რამაა საჭირო, მაგრამ თუკი ჟინი არ გაქვს და ბრძოლას ვერ შეძლებ, იქ ყველაფერი დამთავრებულია. მით უფრო, თუ შენს მეტოქეს მონდომებაც არ აკლია და საქმესაც ბოლომდე კეთილსინდისიერად ასრულებს.

„ვიტ ჯორჯია“ — „ამერის“ საფინალო სასტვენისას მცხეთელებს სიხარულის თავიც არ ჰქონდათ, არაქთგამოცლილები მოედანზე დაცვივდნენ. გაიჭირვეს გასავარდნთა ზონაში მოტრიალე მცხეთელებმა, ბევრი ოფლი ღვარეს, ბოლომდე გულდაგულ იბრძოლეს და ალალადაც დაიმსახურეს გამარჯვება — შრომით მოიპოვეს სამი ქულა. „ამერს“ კი არ უშრომია. მთელი მატჩის მანძილზე თბილისელებს მოგების წყურვილი არ დასტყობიათ და, ცხადია, გაწბილებულნიც დარჩნენ. „ამერმა“ ამ წაგებით საგრძნობლად გაირთულა სატურნირო ვითარება და დარჩენილ სამ ტურში დიდი ოფლისღვრაც შეხვდება პირველ ლიგაში დასარჩენად.

„ვიტ ჯორჯიამ“ მოსაგები ჟინი თავიდანვე გამოამჟღავნა. მასპინძელმა ხუთი წუთი უტრიალა თავის ნახევარზე ჩაკეტილ „ამერს“ და გოლიც შეაგდო. სწრაფი ლაშა ჯაფარიძის ფლანგური პასისას საჯარიმოდან ბურთის ამომტანი არავინ აღმოჩნდა და კვახაძემ ახლო მანძილიდან ძლიერი დარტყმით ლამის ბადე გახია — 1:0.

გაშვებული გოლისთვის ნებისმიერი გუნდი მზად უნდა იყოს, არა აქვს მნიშვნელობა, როდის გაგიტანენ. ნებისმიერ მომენტშია შესაძლებელი ვითარების გამოსწორება, საამისოდ კი, ბუნებრივია, მოქმედებაა საჭირო. მით უფრო, რომ „ამერს“ მთელი მატჩი წინ ჰქონდა, მაგრამ რეალურად ვერაფერი დაუპირისპირა მეტოქეს. იყო ერთი მომენტი, მე-16 წუთზე გიორგი სილაგავას ფლანგური პასისას ალექსანდრე კაიდარაშვილმა საჯარიმოს სიახლოვეს დიმიტრი ვერემჩუკს რომ დაუგდო ბურთი და ამ უკანასკნელის გასროლილი ოდნავ ასცდა მცხეთელთა კარს. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს იყო ამერელთა პირველი და ბოლო ნაღდი საგოლე შანსი მთელი მატჩის განმავლობაში. მეორე ნახევარში კაიდარაშვილს ეგებ გაეტანა კიდეც, ვერემჩუკის ჯარიმისას კარიდან ხუთ მეტრში რომ აღმოჩნდა ბურთიანად, მაგრამ დარტყმა დაახანა. თუმც ეს უფრო ნახევარმომენტი იყო, საერთოდ კი, „ამერს“ მეტოქის კარში ხეირიანად არ დაურტყამს. ვარსკვლავები მის მეტოქესაც არ უწყვეტია, თუმც ჟინმოძალებულ ვიტელებს სასურველი შედეგისთვის ბრძოლა არ გასჭირვებიათ. მცხეთელებმა ალღო აუღეს თამაშის მსვლელობას, ნახევარდაცვა გააძლიერეს, ამით მეტოქეს მოედნის ცენტრიდან შეტევების განვითარების საშუალება მოუსპეს. თანაც მასპინძლები შესაძლებლობისთანავე მწვავედ იჩხვლიტებოდნენ ფლანგებიდან და ერთი-ორჯერ გვარიანი პრობლემაც გაუჩინეს მეტოქეს.

ბოლოს კი ცხრილის უცნაურობაზე უნდა ვთქვათ. ამ ტურის წინ პირველ ლიგაში ისეთი ვითარება იყო, რომ 4-5 გუნდს საპლეიოფო ზონაში მოხვედრის ისეთივე შანსი ჰქონდა, როგორც გავარდნის. ამ ტურის შემდეგ კი ვითარება შეიცვალა და მათ შორის „ამერისთვისაც“ — გიორგი ჩიხრაძის გუნდს ოდენ პირველ ლიგაში დარჩენისთვის მოუწევს ბრძოლა.

ბაფრი ძეძიგურის ფოტო

ამერელთა ლიდერი ალექსანდრე კაიდარაშვილი კვლავაც უგოლოდ დარჩა

ივერია 3:0 ლოკომოტივი 2

ლუკა 1:4 ცხინვალი

გურია 1:1 ქობულეთი

ოლიმპი 2:2 ჩიხურა

დინამო 2 1:0 თსუ

სამგურალი 1:0 რუსთავი

მეტალურგი 1:2 მილანი

სამგურალი	27	15	7	5	34:16	52
ქობულეთი	26	16	3	7	46:24	51
რუსთავი	27	15	3	9	44:28	48
დინამო 2	26	14	4	8	65:30	46
მილანი	27	13	6	8	34:25	45
ოლიმპი	27	12	7	8	35:31	43
ცხინვალი	27	12	6	9	41:23	42
ჩიხურა	27	12	5	10	34:26	41
გურია	27	12	5	10	35:34	41
ვიტ ჯორჯია-მცხ.	27	11	8	8	29:19	41
თსუ	27	11	7	9	45:28	40
ამერი	27	11	7	9	31:22	40
ივერია	26	10	5	11	22:35	35
ლოკომოტივი 2	27	6	1	20	19:70	19
ლუკა	26	5	1	20	25:63	16
მეტალურგი	27	1	1	25	14:81	4

სინდიკატი

წინა ტურში „დინამომ“ „სიონს“ კი მოუგო, მაგრამ ჩემპიონობისთვის უკეთესი შანსი მაინც ბოლნისელებს შერჩათ, რადგან ქვემოქართლელებს უკეთესი კალენდარი ჰქონდათ — ზედიზედ ორი მატჩი შინ უმოტივაციო გუნდებთან — „ლოკომოტივთან“ და „დილასთან“, ხოლო ბოლო ტურში გასვლა „თბილისთან“.

ერთი სიტყვით, ამ ტურამდე ლიდერი „სიონი“ იყო და თანაბარქულიან „დინამოს“ მეტი მოგებით უსწრებდა. ამ ტურში კი „სიონმა“ ფრე ითამაშა „ლოკომოტივთან“, ოღონდ, ფრეც არის და ფრეც: ბოლნისელთა მწვრთნელმა გუნდი უცნაური განლაგებით ათამაშა, „სიონმა“ უცნაური ბურთი გაუშვა, ვიღაცამ ხმა დააგდო, ზოგ-ზოგ ლოკომოტიველს „დინამომ“ ფული ჩაუთვალა, რათა მათ „სიონთან“ ეომათ — ეჭვებს, რომ თამაში გარიგებული იყო, მყარი დასაყრდენი კი აქვს, მაგრამ ეს ისეთი სინდიკატია, რომ შიგნიდან არასდროს გატყდება. სინდიკატი, რომელიც უფრო და უფრო დაიხვეწა და რომელსაც ვერავინ ანგრევს.

თბილისი 0:2 დინამო	სპარტაკი 0:1 კოლხეთი
სიონი 1:1 ლოკომოტივი	ტორპედო 0:0 მცხეთა
დილა – ვიტ ჯორჯია	მერცხალი 0:1 ბათუმი

ავდრის გამო გადადებული დილა – ვიტ ჯორჯია გაიმართება ხვალ, 12 მაისს

I–VI ადგილები

დინამო	8	3	3	2	12:6	37
სიონი	8	4	3	1	11:5	35
ვიტ ჯორჯია	7	3	2	2	5:2	32
თბილისი	8	3	4	1	11:6	31
ლოკომოტივი	8	1	4	3	5:9	24
დილა	7	0	2	5	1:17	19

VII–XII ადგილები

ტორპედო	8	5	2	1	15:6	34
კოლხეთი	8	4	3	1	9:4	27
მცხეთა	8	4	3	1	7:3	25
ბათუმი	8	3	0	5	5:10	25
სპარტაკი	8	3	1	4	7:7	18
მერცხალი	8	0	1	7	1:14	6

ზოგჯერ წვიმა ჟუჟუნაა, ზოგჯერ, ბიძიკო, ჯუმბერი

ნიშანდოგლივი ამბავი: საქართველოს ჩემპიონატში სიუჟეტი ჩაისლართა და შესაბამისად იმატა ქომაგმაც.

ზეექსეულში ტური არ არის, რომელიმე მატჩზე რომელიმე სტადიონი არ გაივსოს. ამჯერად ანშლაგი თბილისში, „ისანზე“ იყო. მოსალოდნელი საინტერესო შეხვედრა „თბილისი“ – „დინამო“ მართლაც საინტერესო და მართლაც საჩემპიონო გამოდგა. ქომაგმაც არ ინანა, თქეშში რომ სტადიონს მიაშურა.

ჯერჯერობით „მცირეგაბარიტიანი“ სტადიონები ივსება, თუმც, ღმერთმა თუ ინება, იქნებ გადაჭედილი „ლოკომოტივიც“ ვნახოთ და „ეროვნულიც“... მაგრამ „ეროვნული“ ჯერ სკამებით უნდა შეივსოს.


ბადრი ჯბილაძის ფოტო

ბადრი ჯბილაძის ფოტო

მოკვდავი უჯრედი და უკვდავი ემოცია

ექიმებს თუ ვერწმუნებით, ნერვული უჯრედები არ აღდგება.

„თბილისის“ მთავარმა მწვრთნელმა გიორგი დევდარიანმა საკუთარი უჯრედები არ დაინდო, ბლომად დახარჯა და სხვა გზა ალბათ არც ჰქონდა — მისმა გუნდმა მეორე ეტაპზე პირველად წააგო, გია გეგუჩაძის „დინამოს“ ვერაფერი მოუხერხა.

ექიმებს თუ ვერწმუნებით, თამბაქო უჯრედებისთვის ვერაფერი ხეირია, სიგარეტი უჯრედს სიცოცხლეს ვერ გაუხანგრძლივებს, მაგრამ მწვრთნელიც იმისაა, რომ მაინც ინერვიულოს და გააბოლოს.

ექიმებს თუ ვერწმუნებით, ადამიანისთვის ემოციებისგან დაცლა აუ-

ცილებელია, მაგრამ ფეხბურთს ვერანაირი ემოცია ვერ დაცლის. მატჩისშემდგომ გეგუჩაძისა და დევდარიანის კაცური გადაკოცნაც დაუცელელი ემოციის ბრალი უნდა იყოს.

მაგრამ უჯრედს მაინც გაფრთხილება უნდა, უჯრედი ხომ ერთჯერადია.



ბადრი ჯბილაძის ფოტო

მოახლოვდა საქართველოს ჩემპიონატის დასასრული და ატყდა ლაპარაკი გარიგებულ თამაშებზე.

ბარე ოცი სქემა არსებობს, რომელთა მიხედვითაც ქართულ ფეხბურთში ჩახედულ ადამიანებს შეუძლიათ აგიხსნან, ვინ, ვის და რატომ მოუგო, ვინ რატომ დასჯერდა ფრეს, ვის რატომ დაუცდა ფეხი და ვინ რატომ აღდგა ფერფლიდან.

გარიგებით ნათამაშევი მატჩი, ბურთს აცდენილი ფეხი, მთვლემარე მცველი და გაჩერებული თავდამსხმელი, ცაში მაყურებელი მეკარე და არსად მაყურებელი მსაჯი, ამასთან ერთად კი მაყურებელი, ბრაზიანი, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, დადუმებული — აი, ჩვენი ფეხბურთის სურათი.

ასეა წლიდან წლამდე.

ამასწინათ პროფლიგაში ჯენტლმენური შეთანხმება დაიდო — თუ გარიგებები მოხდა, ღიად ვილაპარაკოთო.

ღიად ლაპარაკი ქართულ ფეხბურთში ისეთი ფუფუნებაა, რომ უმალ საქართველო ევროკავშირში შევა, ვიდრე აქ ღიად და გულახდილად ილაპარაკებენ.

ფეხბურთი დიდი რამეა, ძალიან დიდი, მაგრამ ქართული საკლუბო ფეხბურთი ვერ არის დიდი რამე, ის, უბრალოდ, ერთი რამეა და საჯილოც კია, რომ ქართული საკლუბო ფეხბურთი რაღაცას ხლაფორთობს იმ ჩიატიტულებისთვის, რომლებიც საკუთარ თავს დაუნესა. ამ ტიტულებს რომ მართლა ფასი ჰქონდეს, მისთვის მებრძოლი გუნდი მეტს იბრძოლებდა.

გარიგებული თამაში ფეხბურთის კიბოა. კიბო კი ისეთი ავადმყოფობაა, რომ თუკი ვინმე უბედურს სჭირს, იმ თავის ავადმყოფობაზე ფიქრობს და მეტზე ვერაფერზე. ჩვენს საკლუბო ფეხბურთს კი ისე გამოსდის, რომ თითქოს საღი იყოს და არაფერი სჭირდეს, არც ფიქრობს, რომ ავად არის.

რაღა უნდა თქვა?

ამ საქმემ მობეზრება იცის. ქართულ სტადიონებზე შესვლა ან მუქთია, ან თითქმის მუქთი. სანამ ფეხბურთის ცქერა მუქთია, სანამ ფეხბურთელი ნისიაზე თამაშობს, სანამ ის ღირსებაზე მეტად იმაზე ფიქრობს, პური როგორ იყიდოს, ის ჩემპიონობაზე ვერ იფიქრებს. ჩემპიონობა სულერთია. ეს დიდწილად პირობითი ტიტულია. საერთოდ, ქართული საკლუბო ფეხბურთი დიდწილად პირობითია.

გარიგება ხომ პირობითობაა.

მოდი და ითამაშე ვითომ ფეხბურთი. ვინ გიყურებს? ვინც გიყურებს, ისიც არ არის ბოლომდე მაყურებელი იმიტომ, რომ იცის — დამდგარა პირობითობის მომენტი, რომელიც ყოველი ქართული ჩემპიონატის ბოლოსკენ გამოფხიზლდება ხოლმე

შევასი კალაძით შევიდა

შუბითიძე სიმბოლურად აღიარეს

სანგრძლივი შესვენების შემდეგ კახა კალაძე პირველად მოხვდა „მილანის“ ძირითადში. ტრავმებით გაწამებული ქართველი მცველი წინა ტურში, „რომასთან“ საჩემპიონო მატჩში დაუბრუნდა მოედანს, თუმც გუშინწინ უფრო სრულყოფილი რედებიუტი ჰქონდა. კალაძემ სრულად ითამაშა „რეჯინასთან“ არაფრისმომტან მატჩში და ჩინებული საგოლე პასიც უბოძა „შევას“ — ჩვენებურის უზუსტესად მიწოდებულ ბურთს ანდრეი შევჩენკომ მასპინძელთა კარში თავით მოუძებნა ადგილი. იტალიის ჩემპიონები „რეჯინასთან“ 1:2 დამარცხდნენ, თუმც მათ გასაქილიკებლად, ცხადია, ენა არავის მოუბრუნდება.

ფინიშისკენ მიექანება გერმანული ბუნდესლიგაც. „ქართულ“ კლუბებს — „შალკესა“ და „ფრაიბურგს“ კი ყველაფერი გარკვეულ-მოგვარებული აქვთ და თავის აუტკივებლად ამთავრებენ სეზონს. გელზენკირხენელები ლიგაში დასარჩენად მებრძოლ „მიონხენგლადბახთან“ 0:2 დამარცხდნენ, „ფრაიბურგი“ კი უეფას თასის საგზურსჩაჭიდებულ „ბოხუმს“ შემოეჭამა. *ლევან კობიაშვილი, ალექსანდრე იაშვილი* და *ლევან ცქიტიშვილი* ორივე მატჩში ძირითადში იყვნენ და სრულადაც ითამაშეს.

90-90 წუთი დაჭყვეს მოედანზე მეორე ბუნდესლიგაში მობინადრე ქართველებმაც. *ხვიჩა შუბითიძე* სულაც ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა — აუე დასაწყისშივე აგებდა „დუისბურგთან“, თუმც მატჩში საუკეთესო ქართველმა თავდამსხმელმა 54-ე წუთზე გაათანაბრა, მერე კი ერცგებირგელებმა მეორეც მიაყოლეს და სამი ქულა შინ დაიტოვეს. ახლა აუე მისთვის სარეკორდო, მე-7 ადგილზეა, რაც მეორე ბუნდესლიგაში სადებიუტო სეზონისთვის ჩინებული შედეგია. შუბითიძემ კი 28 მატჩში 8 გოლი გაიტანა და კლუბის საუკეთესო მეგოლეობას ინარჩუნებს. აუე-სგან განსხვავებით, საპირისპირო განწყობაა „უნიონში“. *დავით სირაძის* გუნდს მცირე თეორიული შანსიღა დარჩა ლიგაში დასარჩენად, თუმც ამის უკვე თავად ბერლინელებსაც აღარ სჯერათ. „უნიონს“ ერთ-ერთი უკანასკნელი იმედი „ალენმა“ ჩაუკლა — 1:0 მოუგო. სირაძემ სრულად კი ითამაშა, მაგრამ მომავალ სეზონში გუნდის გამოცვლა რომ მოუწევს, ფაქტია. ბერლინელებთან ჩვენებურის კონტრაქტს მაისის ბოლოს გასდის ვადა.

„შტურმსაც“ გავარდნა დამუქრებია. ერთხანს გრაცელებმა თავი სამშვიდობოს თითქმის დაიგულეს, მაგრამ მერე წაგებებს უხშირეს და... გუშინწინ ქალაქურ დერბიში „გრაცერთან“ 0:2 დამარცხებული „შტურმი“ ახლა ოდენ სამი ქულით უსწრებს ბოლოადგილოსან „კერნტენს“. ისიც გავითვალისწინოთ, რომ ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურია დარჩენილი, მომდევნო მატჩი კი „შტურმს“ კონკურენტ „კერნტენთან“ სტუმრად აქვს გასამართი. რაც შეეხება „გრაცერთან“ ჯახს, *დავით მუჯირის* გუნდი უშანსო იყო და აკი დამარცხდა ქვეყნის მომავალ ჩემპიონთან. ჩვენებური მე-60 წუთზე გამოჩნდა მოედანზე, თუმც თავისიანების გადარჩენა ვერც მან შეძლო.

სევდიანი ისტორიები „ძოჯაელით“ გავაგრძელოთ. თურქული სუპერლიგიდან შარშან დაქვეითებული იზმითელები პირველ ლიგაში დაგეგმილზე მეტხანს დარჩნენ. „ქოჯაელს“ ელიტაში დაბრუნება წლეულსვე სურდა, თუმც „ანთალიასთან“ დაკარგულმა ქულებმა *გივი დიდავას* გუნდის ოცნებებს ცივი წყალი გადაასხა. „ქოჯაელი“ მომავალ სეზონშიც პირველ ლიგაში ითამაშებს, დიდავა კი გუნდს ერთხელაც, დარჩენილ ტურში შეეწევა და მერე სხვა თავშესაფარი უნდა ეძიოს — ასეთია თურქული ჩემპიონატის კანონი.

წლევანდელ პრემიერლიგაში „ლოკომოტივმა“ პირველად ათამაშა ერთად *მალხაზ ასათიანი* და *მიხეილ აშვეთია*. რკინიგზელთა ქართველი ლეგიონერები აქამდე ტრავმების თუ იური სიომინის გადამკიდე, ცალ-ცალკე თუ გამოჩნდებოდნენ ხოლმე. „ლოკომოტივმა“ 3:0 გაანადგურა დებიუტანტი „ყუბანი“. აშვეთიას გოლი არ გაუტანია, თუმც საკმაოდ ბევრს მოძრაობდა და მესამე გოლში წილიც დაიდო. „ლოკომოტივი“ მესამე ადგილზეა და „ტორპედო“-„ზენიტის“ ლიდერთა დუეტს 2 ქულით ჩამორჩება.

ფინეთში ვეიკაუსლიგა დაიწყო და გიორგი ნიკურაძეც გამოჩნდა. შარშანდელი სეზონის ნახევარზე მეტი ქართველმა მეკარემ ტრავმის გამო გააცდინა, თუმც ახლა ფორმა აღიდგინა და „კოოტეპეს“ კარში დაბრუნდა. მისმა გუნდმა კი 2:0 მოუგო ჩემპიონატის ფავორიტ „მიუპას“.

კახა შალამბერიძე

კახა კალაძის „მილანს“ „რეჯინამ“ ორი გოლი გაუტანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით მუჯირის „შტურმი“ მაქსბუნდესლიგიდან გავარდნის კანდიდატი შეიქნა

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	ს	რეჯინა 1:2	90	საგოლე პასი	6	0	1
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	ს	მიონხენგლადბახი 0:2	90		28	0	7
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	ს	ბოხუმი 0:3	90		28	9	11
ლევან ცქიტიშვილი	ფრაიბურგი	ს	ბოხუმი 0:3	90		27	4	11
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
ხვიჩა შუბითიძე	აუე	შ	დუისბურგი 2:1	90	1 გოლი	28	8	7
დავით სირაძე	უნიონი	ს	ალენი 0:1	90		10	1	17
ავსტრია. მაქსბუნდესლიგა								
დავით მუჯირი	შტურმი	შ	გრაცერი 0:2	30	შეცვლაზე ითამაშა	26	1	9
შვეიცარია. სუპერლიგა								
მიხეილ ყაველაშვილი	აარაუ	ს	სერვეტი 1:1	85	შეცვალეს	13	6	8
ჰოლანდია. პირველი დივიზიონი								
გოგა გახოკიძე	ტვენტე	ს	ვალვაიკი 3:3	78	საგოლე პასი, შეცვალეს	27	3	9
შოტლანდია. პრემიერლიგა								
შოთა არველაძე	რეინჯერსი	ს	სელტიკი 0:1	0	ტრავმირებულია	16	12	2
ზურაბ ხიზანიშვილი	რეინჯერსი	ს	სელტიკი 0:1	90		21	0	2
რუსეთი. პრემიერლიგა								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	შ	ყუბანი 3:0	90		4	0	3
მიხეილ აშვეთია	ლოკომოტივი	შ	ყუბანი 3:0	90		7	0	3
რომან ახალკაცი	ლოკომოტივი	შ	ყუბანი 3:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	3
ვიტალი დარასელია	ალანია	შ	როსტოვი 0:0	0	ტრავმირებულია	4	1	8
ლევან გვაზავა	ალანია	შ	როსტოვი 0:0	0	ტრავმირებულია	5	0	8
რატი ალექსიძე	როსტოვი	ს	ალანია 0:0	0	სარეზერვო გუნდშია	4	0	14
გიორგი ლომაია	სპარტაკი	ს	კრილია 2:4	0	სათადარიგო	0	0	7
ოთარ ხიზანეიშვილი	დინამო	ს	ზენიტი 0:2	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	9
დავით ნაკანი	ტორპედო	ს	ამკარი 1:2	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	1
რუსეთი. პირველი დივიზიონი								
კახა ცხადაძე	ანჟი	შ	ნეფტეხიმიკი 0:2	0	ტრავმირებულია	3	0	16
კახა მჟავანაძე	ანჟი	შ	ნეფტეხიმიკი 0:2	0	დისკვალიფიცირებულია	9	0	16
ედიკ საჯაია	არსენალი	შ	ურალანი 1:0	90		7	0	9
გიზო ჯელაძე	სოკოლი	შ	ხიმკი 2:0	15	შეცვლაზე ითამაშა	7	0	3
ზურაბ ფოფხაძე	მ. კუზბასი	შ	სკა-ენერგია 0:1	0		5	0	22
ლევან ბერიშვილი	მ. კუზბასი	შ	სკა-ენერგია 0:1	0	ტრავმირებულია	1	0	22
ვასილ გიგიაძე	ურალანი	ს	არსენალი 0:1	0		4	0	11
პაატა ჯინჭარაძე	ნეფტეხიმიკი	ს	ანჟი 2:0	0		2	0	20
უკრაინა. უმაღლესი ლიგა								
გოჩა ჯამარაული	მ. დონეცკი	ს	დნიპრო 0:0	90		23	1	4
გიორგი დემეტრაძე	მ. დონეცკი	ს	დნიპრო 0:0	90		22	13	4
ალექსანდრე ამისულაშვილი	დინამო	ს	ბორისფენი 0:2	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	1
ზურაბ იონანიძე	ტავრია	ს	არსენალი 0:1	0	სათადარიგო	16	2	12
გია ჭანტურია	ტავრია	ს	არსენალი 0:1	90		7	0	12
გიორგი იმედაძე	ტავრია	ს	არსენალი 0:1	90		8	1	12
კახა ჩხეტიანი	ტავრია	ს	არსენალი 0:1	90		9	0	12
ზვიად ჩხეტიანი	ტავრია	ს	არსენალი 0:1	0		0	0	12
გოჩა ტრაპაიძე	ვოლინი	ს	ჩერნომორეცი 1:1	41	შეცვლაზე ითამაშა	3	0	11
გელა შეყილაძე	არსენალი	შ	ტავრია 1:0	0	ტრავმირებულია	11	0	6
თურქეთი. პირველი ლიგა								
გივი დიდავა	ქოჯაელი	შ	ანთალია 1:1	90		25	0	5
პოლონეთი. პირველი ლიგა								
მამია ჯიქია	ამიკა	ს	გროცლინი 1:1	0		20	1	3
ფინეთი. ვეიკაუსლიგა								
გიორგი ნიკურაძე	კტპ	შ	მიუპა 2:0	90		1	0	3
ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა								
ამირან მუჯირი	ცსკა	ს	ჩერნო მორე 0:3	90		7	0	3
ვლადიმერ კაკაშვილი	ჩერნო მორე	შ	ცსკა 3:0	0	ტრავმირებულია	11	1	3
მოლდოვა. სუპერლიგა								
ვაჟა თარხნიშვილი	შერიფი	ს	დაჩია 1:0	90		23	3	1
მურთაზ ბურნაძე	შერიფი	ს	დაჩია 1:0	0	სათადარიგო	8	0	1
ლატვია. უმაღლესი ლიგა								
ლევან კორღალიძე	სკონტო	ს	აუდა 4:0	90	1 გოლი	7	3	1
ზურაბ მენთეშაშვილი	სკონტო	ს	აუდა 4:0	90		7	2	1
გიორგი ყიფიანი	სკონტო	ს	აუდა 4:0	0	სათადარიგო	3	0	1
თამაზ პერტია	დინაბურგი	ს	რიგა 1:1	83	შეცვალეს	6	0	4
ყაზახეთი. სუპერლიგა								
კახა კვეტენაძე	ორდაბასი	შ	ალმათი 3:1	12	შეცვლაზე ითამაშა	5	0	1
ზურაბ არჩვაძე	ეკიბასტუზეცი	შ	ოკუტპესი 0:0	90	გააფრთხილეს	5	0	6
ლევან ბაჯელიძე	ატირაუ	ს	ყაირათი 1:1	0	სათადარიგო	4	0	3

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

17 მაისს ეროვნულ ჩემპიონატში უმნიშვნელოვანესი, ფაქტობრივად, საჩემპიონო მატჩი გაიმართება — „დინამო“ „ვიტ ჯორჯიას“ უმასპინძლებს.

ვეტერინართა ერთ-ერთი ლიდერი გიორგი დეკანოსიძე გუშინ რედაქციაში გვესტუმრა და ეროვნულ ჩემპიონატში შექმნილი ვითარების გარდა სხვაზეც ვილაპარაკეთ



გიორგი დეკანოსიძეს ფოტო

დეკა აუსლანდერი: 17-ში იწყება თავდავიწყება

— „ვიტ ჯორჯიას“ წლეულს არცთუ მცირე საჩემპიონო შანსი აქვს, როგორ ფიქრობ, არის თუ არა გუნდი მზად ჩემპიონობისთვის?

— სულ მცირე, რისი მიღწევაც გვსურს, მეორე ადგილი და უეფას თასზე თამაშია. თუმც გუნდი უკვე მომწიფდა, რათა უფრო მაღალი მიზნებისთვის იბრძოლოს.

— გორში გადადებული მატჩი შექმნილ სიტუაციაში ლავირების საშუალებასაც ხომ არ მოგცემთ?

— ალბათ ავჯობებდა, თამაში არ გადადებულიყო, საბოლოოდ გვეცოდინებოდა, რისთვის უნდა გვებრძოლა. მაგრამ გორში წვიმის გამო სტადიონი ისეთ დღეში ჩავარდა, თამაში მართლაც შეუძლებელი იყო. მით უმეტეს, იმ გუნდისთვის, რომელსაც აუცილებლად მოგება სჭირდება.

— თქვენს გუნდს წლეულს პირველ რიგში სტაბილურობა აკლია. ეს რომ არა, ვინ იცის, ეგებ საჩემპიონოდ გაცილებით უკეთესი შანსებიც გქონოდათ...

— გეთანხმებით, მთელი ჩემპიონატი ერთ დონეზე არ ჩაგვიტარებია. ავიღოთ თუნდაც მეორე ეტაპი, ისეთი ქულები დავკარგეთ, რომელიც ნამდვილად არ უნდა დაგვეკარგა. თუნდაც „თბილისთან“ ბოლო მატჩი რომ გავიხსენოთ. ალბათ მინც ფსიქოლოგიური მომენტია, გადამწყვეტ მატჩებში რაღაცას ვაკლებთ.

— გერმანიიდან დაბრუნებულს ეროვნული ჩემპიონატი მოლონიერებული გეჩვენა?

— წლეულს ალბათ ერთ-ერთი საუკეთესო ჩემპიონატი ტარდება. აქამდე არასოდეს ყოფილა, რომ საჩემპიონო პრეტენზიას ერთშაბად ოთხი გუნდი აცხადებდეს. დაძაბულობა და საინტერესო მატჩებიც მეტია. ადრე ჩემპიონატი მაინც ერთი გუნდის აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა — „დინამოსი“ ან „ტორპედოსი“. კარგია, რომ ახალი გუნდებიც წამოვიდნენ და ჩემპიონატს თავისი ინტრიგა შემატეს.

— შენთვის ეს სეზონი როგორია?

— საუკეთესო ნაღდად არაა, თუმცა ვთვლი, რომ საუკეთესო თამაშები და სეზონი ჯერ კიდევ წინ მაქვს. ვცდილობ, თავდაუზოგავი შრომით გუნდს გამოვადგე.

— შენს ძლიერ მხარეებზე რას იტყვი?

— რეჟიმს და დისციპლინას არ ვარღვევ, ბურთთანაც კარგად ვარ. შორიდან დარტყმის ნიჭიც მაქვს. თუმცა ფიზიკურად თუ უფრო გავძლიერდები, მართლაც უკეთესი იქნება.

— წლეულს ადგილებსაც ხშირად გიცვლიდნენ...

— ეს ძირითადად მაშინ ხდება, როდესაც სამი საყრდენით ვთამაშობთ. ამ შემთხვევაში დაცვის დახმარებაც მევალება. ისე, თქმა არ უნდა, შუაში თამაში ყველაფერს მირჩევნია.

— „ვიტ ჯორჯია“ იმითაც გამოირჩევა, რომ ფეხბურთელები საკმაოდ დიდი ხანია, ერთად თამაშობენ. ვინ არის შენთვის იდეალური პარტნიორი?

— საერთოდ არ მიყვარს ფეხბურთელების გამორჩევა, მით უმეტეს, ისეთ შეკრულ გუნდში, როგორიც „ვიტ ჯორჯიაა“. თუმცა არ შეიძლება, არ ვთქვა მათზე, რომლებთანაც ბავშვობიდან ვთამაშობ — ადამია, გოცირიძე და ინწკირველი. იდეალურადაც სწორედ მათ ვუგებ. საერთოდ, ფეხბურთში გატარებულმა ბავშვობის წლებმა ჩინებული მეგობრები მაჩუქა — ზურაბ ხიზანიშვილი, რამაზ სვანაძე და ზემოთ ნახსენები ჩემი თანაგუნდელები. ჩვენი მეგობრობა ნათესაობაში, ნათელ-მირონობაშიც გადაიზარდა. ჩემი მეჯვარეები გოცირიძე და ხიზანიშვილი არიან.

— მეორე ბუნდესლიგიდან საქართველოში დაბრუნება არ გაგიჭირდა?

— ძალიან. ბოლო მომენტამდე მქონდა სხვა ვარიანტის გამოჩენისა და დარჩენის იმედი. ამას იმიტომ არ ვამბობ, თითქოსდა საქართველოში ჩამოსვლა არ მსურდა. უბრალოდ, იქ ზრდის უკეთესი პერსპექტივები იყო. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ გერმანიის თასის ფინალში მეორე ბუნდესლიგის გუნდია გასული, ეს ლიგა კი ბუნდესლიგას ბევრით სულაც არ ჩამოუვარდება.

— „ფიურტში“ თითქოს ყველაფერი კარგად დაიწყო, მაგრამ მერე აღარ გენდობოდნენ...

— სიმართლე გითხრა, უნდობლობის მიზეზს ახლაც ვერ ვხვდები. თავიდან მართლაც კარგად აეწყო საქმეები, ძირითადშიც დავიმკვიდრე ადგილი და პრესაც საკმაოდ კარგი მქონდა. მერე გუნდში მწვრთნელთა ცვლა დაიწყო და ვხედავდი, რომ ნდობას ვკარგავდი. თანაც „ფიურტი“ ბავარიის გუნდია, იქ უცხოელებს სულ სხვა თვალით უყურებდნენ.

— გარეგნულად გერმანელისგან არც კი განსხვავდები...

— კი, რომ ჩავედი მეუბნებოდნენ, კავკასიელი კი არა, გერმანელი ხარო, მაგრამ საბოლოოდ მაინც აუსლანდერი ანუ უცხოელი ვიყავი.

— „ფიურტში“ რომელიმე შენი თანაგუნდელი ბუნდესლიგაში ხომ არ დაწინაურებულა?

— კიოიო ახლა „მიუნხენ 1860“-შია, ბიორშლიკე „ჰამბურგში“, ამანატიდისი კი „აინტრახტშია“.

— ისევ „ვიტ ჯორჯიას“ დავუბრუნდეთ. გუნდთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს გეწურება, რას აპირებ?

— ჯერ არაფერი გადამიწყვეტია. ახლა დარჩენილ მატჩებზე ვარ კონცენტრირებული. მერე ვნახოთ, თუ სათანადო ვარიანტი არ გამოჩნდა, ალბათ კონტრაქტს გავაგრძელებ.

— მოდი, იმით დავამთავროთ, რითაც დავიწყეთ — 17 მაისს „დინამოსთან“ საჩემპიონო მატჩი გაქვთ. რას უნდა ველოდოთ „ვიტ ჯორჯიასგან“?

— დიდი ბრძოლა და თავდადება იქნება, ეს ისეთი თამაშია, რომელმაც შეიძლება ან ყველაფრის გარეშე დაგვტოვოს ან პირიქითაც. არაფერს დავთმობთ. „დინამოსთან“ თამაში ყოველთვის დამატებით სტიმულს გვაძლევდა. ახლაც ვფიქრობ, რომ „დინამო“ თავისი სტაბილურობით საუკეთესოა, შემადგენლობაც სოლიდური ჰყავს, მოკლედ, 17 მაისს გულშემატკივრებს მოსაწყენად არ ეცლებათ.

დავით ერაძე

გიორგი დეკანოსიძეს ფიურტული კარიერა არ წაუვიდა

არ გაბრიყვდეთ, მანჩესტერის ფანებო!

ტაილანდის პრემიერის აქცია ლივერპულის აქციებისთვის

ტაილანდის პრემიერ-მინისტრი ტაკსინ შინავატრა „ლივერპულის“ აქციათა 30 პროცენტის ყიდვას აპირებს. მას ინგლისურ კლუბში დაახლოებით, 100 მილიონი დოლარის დაბანდება სურს.

ტაილანდელი პრემიერი აზიელი სილვიო ბერლუსკონია. მას არ ჰყავს „მილანის“ დონის კლუბი, მაგრამ ტელემაგნატია და უფულობასაც არ უჩივის.

ტაკსინ შინავატრამ „ლივერპულის“ აღმასრულებელ დირექტორ რიკ პერისთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ სავარაუდოდ, კვირის ბოლომდე ინგლისელებისგან პასუხს მიიღებს: „ჩვენ ყველა საკითხზე დაწვრილებით ვისაუბრეთ და ახლა სიტყვა ლივერპულელებს ეკუთვნით. მე ყოველთვის ამ გუნდის გულშემატკივარი ვიყავი“.

რიკ პერი: „აქამდეც ვთქვი, რომ რამდენიმე სხვადასხვა წინადადებას ვიხილავთ და საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიგვიღია“.

ტაილანდის პრემიერ-მინისტრის აზრით, 100 მილიონი დოლარი არც ისე დიდი თანხაა: „მე ხომ ძალიან ცოტა, აქციათა მხოლო 30 პროცენტის შეძენა მსურს“.

„ლივერპულის“ თავმჯდომარე დეივიდ მური აქციათა 51 პროცენტს ფლობს. გასულ იანვარში მან განაცხადა, რომ გარკვეული წილის გაყიდვას აპირებს, ხოლო შინავატრას თქმით, მის მიერ გაღებული თანხა კლუბისთვის ახალი სტადიონის მშენებლობას მოხმარდება.

პრემიერს უკვე საინვესტიციო ჯგუფი ჰყავს გამზადებული, რომელიც პროდუქციის გასასაღებლად ბაზარზე „ლივერპულის“ სახელის გამოყენებას აპირებს აზიაში და გუნდი მალე ძალიან პოპულარული გახდება.

ტაკსინ შინავატრას შარშან ზაფხულში თავისი დოლარების დაბანდება ლონდონის „ფულემში“ ეწადა, მაგრამ მოჰამედ ალ ფაიედისგან უარი მიიღო. ამის შემდეგ დევიდ მურს მიადგა.

„ლივერპულს“ ტაილანდელთა ფანკლუბის პრეზიდენტმა ბოონჩაი მონგკოლრატანკორნმა პრემიერ-მინისტრი თაღლითობაში ამხილა: „მეეჭვება, რომ იგი „ლივერპულის“ ქომაგია. კარგად მახსოვს, როცა აქ „მანჩესტერი“ ჩამოვიდა, შინავატრა მას გულშემატკივრობდა“.

ნაღდად ასე იყო, რადგან „მანჩესტერის“ აზიური ტურნეს დროს ალექს ფერგიუსონმა ტაკსინ შინავატრას გუნდის მაისურა აჩუქა.

ფანკლუბის მავანი წევრი საცინ ნაკრანი თავის პრეზიდენტს არ ჩამორჩა: „რომან აბრამოვიჩის მაგალითმა ჩვენი პრემიერი „მოწამლა“ და მასაც იგივეს გაკეთება გადაუწყვეტია. შინავატრას სურს, რომ „ლივერპულში“ ტაილანდელები ათამაშოს, ეს ხომ სასაცილოა“

ვაჟა ხუციშვილი

ბოდიშზე ბოდიში

დესაის ატკინსონი ეცოდება





მარსელ დესაიმ განაცხადა, რომ სწუხს რონ ატკინსონის გამო, რომელმაც „მონაკო“ — „ჩელსის“ ტელერეპორტაჟისას მას „მოტ_ნული ზარმაცი ნიგერი“ უწოდა.

ატკინსონს მიკროფონი გამორთული ეგონა და „აიტივის“ არხის ტელერეპორტაჟის ბოლოს „ჩელსის“ ფეხბურთელები გალანძღა. ეს სიტყვები მხოლოდ „აიტივის“ არაბეთის ქვეყნების მაყურებლებმა მოისმინეს.

დესაიმ კი თქვა: არ ვბრაზობ ამ კაცზე, ის ერთია მილიონთა შორის. მესმის, რომ მან ბოდიშის მოხდა სცადა, მაგრამ ჩვენ არ გვილაპარაკია. ის დიდი სახელისა და ავტორიტეტის 65 წლის კაცია, ამ სიტყვებით კი მისი ავტორიტეტი დაინგრა. მას არ ვეთანხმები და არც ვპატიობ. არ მგონია, რომ რონი რასისტია. უბრალოდ, ის ცნობილი მწვრთნელია, „ჩელსის“ მარცხმა დაამწუხრა და ამიტომაც მლანძღავდა“.

რონ ატკინსონი, პოპულარული და სახელიანი მწვრთნელი ინგლისში, ბოლო ხანებში ტელეკომენტატორი იყო და მარილიანი გამოთქმები უყვარდა. დესაის გალანძღვის შემდეგ ის „აიტივის“ არხიდან წამოვიდა, თუმცა, არხი მის გაშვებას ისედაც აპირებდა.

ფეხმძიმე მატჩი ჟიულიმ ამშობიარა

ლუდოვიკ ჟიულიმ არ მოისვენა და ფაბიენ ბარტეზს მაინც გაუტანა

საფრანგეთი

I დივიზიონი. XXXV ტური

მონაკო 1:0 მარსელი

1:0 ჟიული (90)

მონაკო: რომა, იბარა, როდრიგესი, სკილაჩი, გივუ, ბერნადი, ზიკოსი, როტენი (ნონდა 57), ჟიული, მორიენტესი (ადებაიორი 66), პლასილი (ე. სისე 81)

მწვრთნელი: დიდიე დეშანი

მარსელი: ბარტეზი, ბეიე, დოს სანტოსი, დ. ფერეირა (შეიტე 52), ეკერი, ბატლე, ჰემდანი, სელესტინი (ს. ნდიაიე 56), ვახოუშეკი, მარლე (დროგბა 68), კოკე

მწვრთნელი: ჟოზე ანიგო

გაფრთხილება: ბატლე, ნდიაიე, კოკე

მსაჯი: დუამელი

16 560 მაყურებელი

ჩემპიონთა თასის ფინალისტმა „მონაკომ“ უეფას თასის ფინალისტ „მარსელს“ უმასპინძლა. სამხრეთ საფრანგეთის გუნდების ქომაგებისთვის ამ მხრივ ეს მატჩი განსაკუთრებული იყო. გარდა ამისა, მასპინძლებს ჩემპიონობისთვის ბრძოლის გასაგრძელებლად აუცილებლად სჭირდებოდათ მოგება და ლუდოვიკ ჟიულის მოუღლელობას უნდა უმადლოდნენ, რომ ბოლო წუთზე მეტოქეს სამი ქულა ააღლიტეს.

მარსელელებს ხუთეულში შეძვრომა და უეფას თასზე გასვლა სურთ, მაგრამ ჟოზე ანიგოს უფრო გიოტებორგის ფინალი ადარდებს. ამიტომ „მონაკოსთან“ მატჩში ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენა. მათ შორის დიდიე დროგბა, რომელმაც 68-ე წუთზე მარლე შეცვალა, თუმც დაშავდა და სტუმრები კაცნაკლულნი დარჩნენ, რადგან მწვრთნელს სამივე შეცვლა მოესწრო.

„მარსელი“ „მონაკოსთვის“ კერკეტი მეტოქეა. „ლუი II“-ეზე ბოლო ხუთი სტუმრობიდან მარსელელებმა სამი მოიგეს და ორჯერ ფრე ითამაშეს. მასპინძლებმა ნავსი დიდიე დეშანის თავკაცობით გატეხეს, ოღონდ ძალიან გაუჭირდათ. ორივე გუნდი მძიმე სეზონისგან ფეხდამძიმებული იყო.

ჟოზე ანიგომ დროგბას ადგილი 20 წლის ესპანელ ფორვარდ სერხიო კოკეს ანდო, რომელიც გასულ ზამთარში შეიძინეს. კოკემ 90 წუთის განმავლობაში საკმაოდ შთამბეჭდავად ითამაშა. ყმაწვილმა ესპანელმა ფლავიო რომას სამოთხჯერ დაურტყა, ერთხელ პირისპირაც გავიდა „მონაკოს“ მეკარესთან, მაგრამ გამოცდილება არ ეყო.

საგოლე მომენტებით დატვირთული და სანახაობრივად კარგი მატჩი ვერ გამოდგა, შეხვედრის მიწურულს კი იღბალმა დამხვდურებს გაუღიმა.

უგო იბარამ კუთხურიდან ჩააწოდა. მცველებისგან ბურთი ბერნარდის მიუვიდა, მისი დარტყმული ბარტეზმა მოიგერია, მაგრამ ყველგან მოფუსფუსე ჟიულიმ მცველებს დაასწრო და დამატებაზე გაიტანა.

„ბოლო წუთზე გატანილი გოლი ჩემს ფეხბურთელებს თავდაჯერებულობას შემატებს, რაც ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე ძალიან მნიშვნელოვანია“ — თქვა დიდიე დეშანმა.

მომავალი სეზონიდან „მონაკოს“ თავდამსხმელი დადო პრსო გლაზგოს „რეინჯერსში“ გადავა. 29 წლის ხორვატმა „ჩაფრებთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და მწვრთნელს გული დასწყვიტა: „გაორებული გრძნობა მაქვს — თქვა დეშანმა — მიხარია, რომ უკეთეს გუნდში მიდის, მაგრამ მენანება იმ ფეხბურთელის გაშვება, რომელსაც ჩვენს წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის“.

საფრანგეთის მორიგი ტური დღეს დაიწყება. პსჟ ბორდოში მოსაგებად მიემგზავრება, რათა ქულებით „ლიონს“ გაუტოლდეს, „მონაკოს“ კი გადაასწროს. პარიზელთა შემადგენლობაშია პედრო პაულეტა. პორტუგალიელი რამდენიმე სეზონის განმავლობაში ხომ ბორდოელთა მთავარმეგოლე იყო, ახლა კი პსჟ-ს მაისურით ესტუმრება ნაცნობ მხარეს.

	მატჩ	ფვ	ფ	ფ	ბ	ქულა
ლიონი	35	22	7	6	60:25	73
მონაკო	35	20	11	4	55:25	71
პსჟ	35	20	10	5	48:25	70
სოშო	35	17	9	9	50:38	60
ოსერი	35	17	7	11	54:32	58
ნანტი	35	16	8	11	44:32	56
მარსელი	35	16	5	14	47:41	53
ლანსი	35	14	8	13	31:42	50
ლილი	35	13	8	14	38:37	47
ბორდო	35	12	11	12	35:37	47
რენი	35	12	9	14	48:43	45
ნიცა	35	10	15	10	38:36	45
ბასტია	35	9	12	14	33:45	39
სტრასბური	35	9	11	15	41:49	38
მეცი	35	10	8	17	30:38	38
გენგამი	35	10	7	18	34:54	37
ტულუზი	35	8	10	17	28:42	34
ლე მანი	35	8	10	17	31:53	34
აიაჩო	35	8	10	17	29:52	34
მონპელიე	35	8	6	21	39:67	30

დადო პრსო სეზონის მერე „მონაკოს“ დაემშვიდობება და „რეინჯერსში“ წავა

მხოლოდ ერთი თამაში?!

მე მივხვდი, რომ ის ის არის

ალბერტო ძაკერონი „ინტერისა“ და „პარმას“ მრავლის გადამწყვეტი შეხვედრის დროს ძალიან მობერებული ჩანდა და მეტისმეტად ნერვიულობდა. მიზეზი ნათელია, „ინტერს“ მეოთხე ადგილზე გასვლა სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხად აქვს დასახული

ალბერტო ძაკერონიმ თუ ვერ ივარგა, ამბობენ, მის ადგილს რობერტო მანჩინი დაიჭერსო

„თუ ძაკერონი ჩემპიონთა ლიგაში გაგვიყვანს, თანამდებობაზე დარჩება“ — განაცხადა ზემოხსენებულ თამაშში 1:0 გამარჯვების შემდეგ „ინტერის“ პრეზიდენტმა, ჯაჩინტო ფაკეტიმ.

მიუხედავად ამ განცხადებებისა, საკუთრივ მწვრთნელი არ არის დარწმუნებული, რომ ბოლო ტურში „ემპოლის“ დაამარცხებს, „ემპოლი“ ხომ საკუთარი გადარჩენისთვის იბრძვის.

„საერთოდაც არ მგონია, რომ ჩემი „ინტერში“ დარჩენა — წასვლა ერთი მატჩის ანგარიშზე უნდა იყოს დამოკიდებული. არ ვიცი, კარგია თუ ცუდი, მაგრამ მწვრთნელს 90 წუთის განმავლობაში მომხდარის მიხედვით არ უნდა ქირაობდნენ. მე მწამს, რომ კლუბი გაითვალისწინებს ყველაფერს, რაც ჩემი „ინტერში“ ყოფნის პერიოდში მომხდარა და თუ ჩათვლიან, რომ უნდა დავრჩე, დავრჩები“ — ეს სიტყვები კი თავად ტაქტიკოსმა ბრძანა.

სხვათა შორის, ძაკერონის „ინტერში“ დარჩენა, როგორც ამბობენ, შესაძლოა, კრისტიან ვიერის ავტომატურ წასვლას ნიშნავდეს. მწვრთნელსა და ვარსკვლავს ხომ ცუდი ურთიერთობები აქვთ, თუმცა:

„მე ვიერისთან სულაც არ მაქვს პრობლემა — თქვა ძაკმა — გადაწყვეტილებების მიღებას წლობით ვარ დაჩვეული და კიდევ ერთი, თუნდაც უხერხული ვერაფერს შემიცვლიდა. ვიერი ძირითად შემადგენლობაში რამდენჯერმე მხოლოდ და მხოლოდ ტაქტიკური მოსაზრებების გამო არ დავასახელე, ეს კი ჩემი სამსახურის შემადგენელი ნაწილია“.

ხოლო დეიან სტანკოვიჩი ამბობს, რომ „ინტერში“ თავს ჩინებულად გრძნობს და იანვარში „ლაციოდან“ წამოსვლას საერთოდ არ ნანობს.

„როგორც კი ჩამოვედი, მივხვდი, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე. იმთავითვე ჩემებური ფეხბურთის სათამაშოდ მოვდიოდი და თან ერთ-ერთ უძლიერეს გარემოში მოვხვდი“ — ეს სიტყვები „ცრვენა ზვეზდას“ ყოფილმა კაპიტანმა „პარმასთან“ (1:0) მოგების შემდეგ თქვა. თან დასძინა: „დღეს ძალიან გვინდოდა გამარჯვება. მგონი ვაჩვენეთ კიდეც, რისი გაკეთებაც შეგვიძლია. თითოეული ჩვენგანი თავდადებით იბრძოდა, რათა ჩემპიონთა ლიგის საგზურისკენ გადაგვედგა ნაბიჯი“.

პაპუნა კედია

ევროპა ბასტა

პანკარო თავს სკუდეტოთი იმშვიდებს

„მილანის“ მარცხენა მცველი ჯუზეპე პანკარო ევროპის ჩემპიონატზე ველარ ითამაშებს. ექიმებმა თქვეს, რომ მას ოპერაცია აქვს გასაკეთებელი.

არადა, მოგეხსენებათ, პანკაროსთვის გასული სეზონი საკმაოდ წარმატებული იყო. „სკუდეტოს“ მოპოვებაში მან გვარიანი წვლილი შეიტანა და აშკარად უკონკურენციო გახლდათ „სკუადრა აძურაშიც“, მაგრამ კოჭის ტრავმამ სერიოზული დარტყმა მიაყენა.

„ჩვენ კი ყველა ღონე ვიხმარეთ, მაგრამ ოცდღიანი მცდელობების შემდეგ ექიმებმა დაასკვნეს, რომ არანაირი პროგრესი არ მქონდა. სამწუხაროდ, ევრო 2004 უნდა გამოვტოვო, თუმცა შემდეგი სეზონის დასაწყისისთვის კარგად ვიქნები“.

ახლა, ყოფილი ლაციოელი სამი თვე უბურთოდ იჯდება.

„ცხადია, გული მწყდება ევროპის ჩემპიონატს რომ ვტოვებ. ეს მით უფრო გულდასაწყვეტია, რომ ტრავმამ მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატიც გამომატოვებინა. ერთი სიტყვით, მხოლოდ სკუდეტოთი უნდა დავიმშვიდო თავი“ — დასძინა 32 წლის იტალიელმა.

პაპუნა კედია



ეროვნული ბიბლიოთეკა

უფულო რომას მუშტარი მოუმრავლდა

რეალი ჯაჯელოს ტოტის და სამუელს ეცილება

„რომა“ ის გუნდია, რომელმაც მთელი სეზონი ჩინებულად ჩაატარა, მაგრამ საბოლოოდ მაინც უტიტულოდ დარჩა. საინტერესო ფაქტია: ამ ჩემპიონატში ფაბიო კაპელოს გუნდს უფრო მეტი ქულა აქვს დაგროვებული, ვიდრე იმ სეზონში, როდესაც ბოლოს სკუდეტო მოიგო. ერთი შეხედვით პარადოქსია!

მეორე მხრივ, „რომა“ ის კლუბია, რომელსაც ფინანსური მდგომარეობა არა აქვს სახარბიელოდ და ამიტომ ამ ზაფხულს, სავარაუდოდ, ბევრი ხალხი წაუვა.

ფრანჩესკო ტოტი მადრიდისკენ იხედება

„კლუბები კარზე იმიტომ გვიკაკუნებენ, რომ კარგად იციან, რა რთული ფინანსური მდგომარეობაც გვაქვს — თქვა ფაბიო კაპელომ — მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენს ფეხბურთელთაგან, ფრანსისკო ლიმასა და ჯონათან ძებინას გარდა, ყველა ჯერ კიდევ მოქმედი კონტრაქტითაა შებოჭილი“.

ამ ზაფხულს გუნდიდან წასვლის სურვილი ხმამაღლა გამოთქვეს ვალტერ სამუელმა, ემერსონმა, იონ კარეუმ და ასე განსაჯეთ, თვით კაპიტანმა და „რომას“ სიმბოლომ ფრანჩესკო ტოტიმაც კი.

„სამუელიცა და ემერსონიც ჩვენი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშეები არიან და მათ მართლაც ძალიან ბევრი კლუბი ეპატიჟება. თუმცა, იმის თქმასაც არ მოვერიდები, რომ ისინი შეუცვლელნი სულაც არ გახლავან. გარდა ამისა, დართავს თუ არა მათ სხვაგან წასვლის ნებას, კლუბის გადასაწყვეტია“ — განმარტა კაპელომ.

ყველაზე დიდი დანაკარგი კი, ბუნებრივია, ფრანჩესკო ტოტი იქნება. მოგეხსენებათ, ტოტიმ ამ ცოტა ხნის წინ პრესის საშუალებით განაცხადა, რომ „რომას“ გაძლიერებას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში თავადაც წასვლაზე იფიქრებს.

კაპელო: „ფეხბურთელმა თავისი საქმე უნდა აკეთოს, ფეხბურთელის საქმე კი ფეხბურთის თამაშია. თუ ტოტის რაიმე სათქმელი აქვს, ჯერ კერძოდ, ვიწრო წრეში თქვას. პრესაში პირველ გვერდებზე მოხვედრა საჭირო არ არის“.

ესპანურმა სააგენტო EFE-მ კი პირდაპირ დაწერა, რომ „რომასა“ და „რეალის“ წარმომადგენლები ერთმანეთს ორ კვირაში შეხვდებიან და ტოტი — სამუელის წყვილის ყიდვა-გაყიდვის საკითხს განიხილავენ. სააგენტოს ცნობით, საწყისი სავაჭრო ფასი დაახლოებით 85 მილიონი ევროა.

„ყველა იმას წერს, რაც მოეპრიანება — განაცხადა ამასთან დაკავშირებით კაპელომ — რაც შეეხება პირადად ჩემს მომავალს, მე კლუბის პრეზიდენტს დაველაპარაკები და ვნახავ, რა შეგვიძლია ერთობლივი ძალისხმევით გამოვიყვანოთ“.



„რომამ“ ლუსიო გაიხსენა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „რომამ“ ამ, ჯერ დასამთავრებელ სეზონში იმაზე მეტი ქულა მოიპოვა, ვიდრე 2000 წელს, როდესაც სკუდეტო მოიგო, თუმცა კაპელო ამაზე ასეთი აზრისაა:

„ყველაზე ძლიერი გუნდი, რომელმაც ყოველგვარი რეკორდი მოხსნა, „მილანია“ და ასეა მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ყველაზე მეტი გოლი გავიტანეთ და ნაკლები გავუშვით. თუ წლევანდელის დარ ფეხბურთს მომავალშიც ვითამაშებთ, მე ძალიან კმაყოფილი დავრჩები“.

გეხსომებათ, რომ „რომამ“ 32-ე ტურში, „მილანთან“ მილანში, „სან სიროზე“ 0:1 წააგო და სწორედ მაშინ გაირკვა იტალიის ჩემპიონის ვინაობა. იმ შეხვედრაში „რომას“ ქომაგებმა ტრიბუნიდან მაშხალები ისროლეს, „მილანის“ მეკარეს, დიდას და ნახევარმცველ ჯენარო გატუზოს გაარტყეს და ამის გამო დაისაჯნენ — 33-ე ტურში „რომამ“ „პერუჯას“ „სტადიო ოლიმპიკოს“ ნაცვლად პალერმოში უმასპინძლა.

კაპელო: „ამ დისკვალიფიკაციას არ ვეთანხმებოდი, რადგან უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი მასპინძელია და უწესრიგობისთვის პასუხი „მილანს“ უნდა ეგო. რაც შეეხებათ დიდას და გატუზოს, რომელთაც მაშხალები მოხვდათ — მეც ვიყავი ოდესღაც ფეხბურთელი და კარგად ვიცი, რისი თავი აქვს ამ მაშხალებს. ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ თუ მოთამაშეს მთელი ხუთი წუთის განმავლობაში სტანჯავს ტკივილი და ფეხზე ვერ დგება, იგი ამ ხუთი წუთის გასვლის შემდეგ ცოცხლად ველარ წამოხტება და მთელ თამაშს, თითქოს არაფერიო, ვერ ჩაამთავრებს“.

თუმცა დავანებოთ თავი ამ ამბავს. რაც იყო, იყო. ისევ მომავალ ზაფხულს და „რომას“ ფეხბურთელების შესაძლო ტრანსფერებს დავუბრუნდეთ. კერძოდ, ზემოთ ესპანური სააგენტო EFE ვახსენეთ, რომელიც, როგორც მოგახსენეთ, „რომას“ სპორტულ დირექტორს ფრანკო ბალდინისა და „რეალის“ მარკეტინგის შეფს, ხოსე ანხელ სანჩესს ასახელებს. სააგენტო ამბობს, რომ ამ ორ ბატონს შორის წინასწარი შეთანხმება მიღწეულია, საკითხის მეორე განხილვა კი ორ კვირაშია დანიშნული, რაც იმას ნიშნავს, რომ ტოტის თავისი ბედი ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ეცოდინება. ეს, სხვათა შორის, ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჯერ ერთი, საკუთრივ ტოტი იქნება მშვიდად და მეორეც, ყველა ელის, რომ პორტუგალიაში ეს ფეხბურთელი გაიბრწყინებს, რამაც შეიძლება, თეორიულად მაინც, მის გამო ვაჭრობას სხვა ელფერი მისცეს.

ფაბიო კაპელო

„მე არ ვამბობ, რომ „რეალში“ გადავდივარ, მაგრამ ვერ დავიფიცებ, რომ არავითარ შემთხვევაში არ გადავალ“ — ამბობს „რომას“ კაპიტანი.

და კიდევ, „ჯალოროსის“ ბანაკში გასული სეზონის არშემდგარ ვარიანტებზე, ლუსიოსა და დავიდ პიზაროზე ალაპარაკდნენ.

„ჩვენ „რომას“ წარმომადგენლებთან 2003 წლის ივნისის შემდეგ აღარ გვილაპარაკია, მაგრამ პრობლემა არ არის, შეგვიძლია ყველაფერი თავიდან დავიწყოთ“ — განაცხადა „რადიო რადიოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში ლუსიოს აგენტმა სანდრო ბეკერმა.

როგორც ჩანს, ლუსიოს შეძენა ვალტერ სამუელის გაყიდვის სათადარიგო ვარიანტია. ამბობენ, რომ „რომას“ ბრაზილიელი მცველის სანაცვლოდ გერმანული „ლევერკუზენისთვის“ დაახლოებით 11 მილიონი ევრო ექნება გადასახდელი. სხვათა შორის, ამბობდნენ, რომ ლუსიოს შეძენით „იუვენტუსიც“ არის დაინტერესებული, მაგრამ „რომას“ ვარიანტი მაინც უფრო სერიოზული ჩანს.

რაც შეეხება დავიდ პიზაროს, შეგახსენებთ, რომ ეს „უდინეზეში“ მოთამაშე ჩილელი ფეხბურთელია, რომელიც ხმამაღლა აცხადებს, რომ უფრო დიდ კლუბში სურს თამაში. პიზაროსთან დაკავშირებითაც ახსენებდნენ „იუვენტუსსა“ და „ინტერს“. ჩილელის სავარაუდო ფასი 8,5 მილიონი ევროა.

პაპუნა კედია

ფიცი გწამთ! რაღა გაკვირვებთ?

ფერგიუსონი ნისტელროის გადაეფარა

ალექს ფერგიუსონი შიშობს, რომ მის ჰოლანდიელ თავდამსხმელს, რუუდ ვან ნისტელროის მადრიდსი „რეალი“ ჰყავს შეჩენილი და მოსვენებას არ აძლევს. არადა, მოგეხსენებათ, ერთი პირობა უარი უკვე მწვრთნელსაც აქვს ნათქვამი და ფეხბურთელსაც.

ფერგიუსონი საკმაოდ გაბრაზებული ჩანდა: „ვიცი, როგორც მოქმედებენ და ვიცი შემდეგ ნაბიჯს როგორ გადადგამენ“.

„იუნაიტედში“ როგორც ჩანს, დარწმუნებულნი არიან, რომ „რეალი“ ინგლისურ პრესას იყენებს და სწორედ ის ავრცელებინებს ჭორებს, თითქოს ვან ნისტელროი უკვე მათი საკუთრებაა.

ფერგიუსონი: „იმაზე მეტი, რაც უკვე გავაკეთე, როგორ გავაკეთო. მე ხომ წინა კვირას მოვიყვანე რუუდი და თავისი პირით ვათქმევინე, რომ არსად მიდის. ამის მერე, თუ დამიჯერებთ, კარგი იქნება, ხოლო თუ არა, თქვენი საქმის თქვენ იცით“.

პირველი, ვინც 27 წლის, 19 მილიონ გირვანქად შეფასებული ვან ნისტელროის ესპანეთში გადასვლაზე დაიწყო ლაპარაკი, გახლდათ „სან სპორტი“, მაგ. ამ როგორც შეიტყეთ, ჰოლანდიელმა ჭორი უარყო და ამის შემდეგ „რეალმა“ უფრო მაცდური წინადადებები მოამზადა.

დღეს ვან ნისტელროი ჯანმრთელობის პრობლემის წინაშეა, ბარძაყი სტკივა.

პაპუნა კედია





ვერდერმა მიუნხენში ჯგუფურად ჩაიხადა

„ოლიმპიაშტადიონზე“ გამარჯვების შემდეგ ბუნდესლიგის ჩემპიონმა ბრემენის „ვერდერმა“ მიუნხენშივე, „ჰილტონის“ სასტუმროში მოილხინა.

„ვერდერს“ მიუნხენში რვა ათასი ქომაგი ახლდა და ისინიც ქუჩებს შეესივნენ.

სასტუმროში კი ცეკვა-თამაში, სმა და ღრეობა ჯიპსი კინგის მუსიკაზე გაიმართა. ჩემპიონები ტანსაცმლიან-ფეხსაცმლიანად შეცვივდნენ აუზში, გახარებულმა აილტონმა სამოსი შემოიფხრიწა და სხვებმაც მას მიბაძეს. ჩაცმულნი ბოლოს მხოლოდ კლუბის გენერალური მენეჯერი კლაუს ალოფსი და მწვრთნელი თომას შააფი დარჩნენ. ამ სანახაობას უამრავმა ხალხმა უყურა.

„ბილდმა“ აილტონის მექსიკელ მეუღლე როზალის ჰკითხა, საქეიფოდ გამოჭენებულ თქვენს შიშველ ქმარზე რას იტყვით, როზალიმ მოუგო, რა გითხრათ, მე ყოველდღე ვხედავ შიშველს, ახლა თქვენც უყურეთ და დატკბითო.

„ჰილტონში“ ღრეობის მერე „ვერდერი“ ჩარტერული რეისით ბრემენში ჩაფრინდა. აეროპორტში 15 ათასამდე გულშემატკივარი დახვდათ. აილტონი და შააფი კაბრიოლეტებით ასეირნეს. ბრაზილიელი ჯერ კიდევ მიუნხენიდან ბრემენში ჩასვლამდე ქალაქის წლის ადამიანად აღიარეს, გახარებულმა ფორვარდმა ჩამოცრემლა და თქვა: „ჩემს ცხოვრებაში მსგავსი არაფერი მინახავს. „ვერდერის“ ქომაგები საუკეთესონი არიან მსოფლიოში“.

ვაჟა ხუციშვილი


თომას შააფმა ოპერატორობაც იკისრა

რაფაელის მოხატული ვალენსია

ბენიტესის დევიზი: სტაბილურობიდან ჩემპიონობამდე

ვერც გალაქტიკურმა მადრიდის „რეალმა“ შეძლო პრიმერადივიზიონის მწვერვალზე ფეხის მოკიდება და ვერც ჩემპიონატის მეორე წრეში სასწაულებრივად გამოცოცხლებულმა „ბარსელონამ“. მათგან განსხვავებულმა, ნაკლებად ბრწყინვალე, მაგრამ მუყაითმა „ვალენსიამ“ კი ჩემპიონობა პრიმერას დასრულებამდე ორი ტურით ადრე იზეიმა. ბუნებრივია, ესპანური სპორტული მედია რაფაელ ბენიტესისა და მისი გუნდის სიჩაუქეს შესაბამისად გამოეხმაურა.

ქვემოთ მადრიდული „ასის“ მესვეტის, ცნობილი ესპანელი ჟურნალისტის კარლოს ისკიერდოს სტატიას გთავაზობთ

რაფაელ ბენიტესი

დავიწყოთ იმით, რომ „ვალენსია“ 92 წელია, არსებობს და ამ ხნის განმავლობაში ექვსჯერ გახდა პრიმერას ჩემპიონი, ბოლო ორი ტიტული კი უკანასკნელ სამ სეზონში მოიპოვა. თანამედროვე მსოფლიოში დღეს განსაკუთრებით მოდაშია მეგაგალაქტიკურ და გამორჩეულ ვარსკვლავებზე ლაპარაკი. „ვალენსიას“ დარ კლუბს კი მხოლოდ დიდი გამარჯვებების შემთხვევაში თუ ახსენებენ და მაშინაც ცდილობენ, წარმატება სენსაციას ან არანორმალური სიბეჯითის უეცარ აფეთქებას მიაწერონ... დავუშვათ, ეს მართლაც ასეა, მაგრამ ვიმეორებ: „ვალენსია“ ბოლო სამ წელიწადში ორჯერ გახდა ჩემპიონი. ესე იგი, საფეხბურთო სამყაროს ყველაზე უძნელეს პირველობაში, ესპანურ პრიმერადივიზიონში, გუნდმა თითქმის ერთი და იგივე შემადგენლობით, ყოველგვარი სატრანსფერო ორომტრიალის გარეშე, დროის მოკლე შუალედში ორგზის ჩამოიტოვა უკან გრანდები, რომელთაც, ვიყოთ გულახდილნი, მიუხედავად მათი განუზომელი ავტორიტეტისა, „ვალენსიას“ მიერ ყველაზე ეფექტურად გამოყენებული იარაღი — სტაბილურობა აკლიათ...

რაფაელ ბენიტესს კი ჩვენთან ჯერ კიდევ ნაკლებად აფასებენ. მაშინ, როდესაც მისი მრჩევლებიც წუწუნებდნენ მწვრთნელის უჯიათობაზე, იმაზე, რომ ძვირადღირებული ტრანსფერების გაგონებაც არ სურს და შემადგენლობის როტაციის საეჭვო პოლიტიკას მიმართავს, რაფაელმა სწორედ მაშინ თქვა: „გუნდში ზუსტად ისეთი ძვრები შეიმჩნევა, ორი წლის წინ ლიგის მოგებისას რომ შეიმჩნეოდა“. ზოგიერთმა „ენამახვილმა“ ჩემმა კოლეგამ ბენიტესს გადამეტებული ოპტიმიზმისთვის უმოწყალოდ დასცინა, მე კი კვლავ მინდა თანამოკალმეთ განვუცხადო — „ვალენსიას“ ყოველ ვარჯიშს სტადიონზე დამონტაჟებული რვა ვიდეოკამერა „ადევნებდა თვალს“ და მწვრთნელიც ყველა ფეხბურთელის მოძრაობას, მათ ყოველ ამოსუნთქვას ასი პროცენტით შეისწავლიდა. თუ ვინმეს ფეხბურთზე ზერელე წარმოდგენა მაინც აქვს, მიხვდება, ბენიტესი თავის საქმეს როგორი პროფესიონალიზმით ეკიდებოდა.

შეიძლება „ვალენსიას“ საფეხბურთო თვალსაზრისით ჭკუისდამკარგავი არაფერი გაუკეთებია, არც რაფა ბენიტესი დაგვამახსოვრდა მაინცდამაინც ღრმა განსწავლულობით და საზოგადოებაში გალანტური თავდაჭერით, მაგრამ მიზანი მიღწეულია — პირველობა აღარც „რეალს“ დარჩა, აღარც „ბარსელონას“, არამედ იმას, ვინაც ყველაზე აზრიანად იმოქმედა და პრიმერას ლიდერობაც ღირსეულად მოიგო.

კარლოს ისკიერდო

ფეხბურთის რუკასთან

ფრანგი ფორვარდი ტიერი ანრი ზედიზედ მეორედ გახდა ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელი. მიმდინარე სეზონში ყველა ტურნირს თუ ჩავთვლით, ფრანგის ანგარიშზე 37 გოლია და ეს მაჩვენებელი პრემიერლიგის ბოლო ტურში შეიძლება კიდევ გაიზარდოს. „არსენალის“ ფორვარდს გამოკითხული სპორტული ჟურნალისტების 87-მა პროცენტმა არგუნა პირველობა. მეორე ადგილზე „ჩელსის“ ნახევარმცველი ფრენკ ლამპარდი გავიდა, ხოლო მესამე პოზიცია ანრის თანაგუნდელსა და თანამემამულეს პატრიკ ვიეირას ხვდა წილად. აღსანიშნავია, რომ აქამდე ინგლისის უძლიერესი მოთამაშის წოდება ზედიზედ ორჯერ არავის მიეღო.

იტალიურმა „იუვენტუსმა“ ფრენკ ლამპარდს დაადგა თვალი. ამას ფეხბურთელის აგენტი სტივ კატნერიც ადასტურებს: „ტურინელები მართლაც დაუკავშირდნენ კლუბის ხელმძღვანელობას. ჩვენც გვინდა მოლაპარაკების დაწყება, რადგანაც იტალიელები ფრენკს გაცილებით მაღალ ხედვას სთავაზობენ“. პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, შესაძლოა, კლუბებმა ფრენკ ლამპარდი და დავიდ ტრეზეგე გაცვალონ. საინტერესოა, რომ ორივე ხელფასით უკმაყოფილოა, თანაც „ჩელსიმ“ დიდი ხნის წინ გამოთქვა ტრეზეგეს გადაბირების სურვილი და მზად არის, 35 მილიონი ევრო გადაიხადოს, მაგრამ „ბებერ ქალბატონს“ ლამპარდის ხელში ჩაგდება უნდა.

ესპანური „ატლეტიკოს“ თავდამსხმელის, ფერნანდო ტორესის თქმით, იგი არსად წასვლას არ აპირებს. „ეს ჭორები ჩემზე არანაირ გავლენას არ ახდენს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს, შესაბამისად, არც „მილანში“ და არც „იუვენტუსში“ გადასვლაზე არ ვფიქრობ. თუმცა, რა თქმა უნდა, მსიამოვნებს, იტალიური გრანდების ჩემდამი ინტერესი. ჟურნალისტები კი ამ ჭორებს იმიტომ ავრცელებენ, რომ თავიანთი ჟურნალების თუ გაზეთების ტირაჟი გაზარდონ“ — განაცხადა ტორესმა.

ფრანგულ პსჟ-ს ხუან პაბლო სორინის გამოსყიდვა უნდა. არგენტინელი პარიზულ გუნდში იჯარის წესით თამაშობს და მიმდინარე სეზონში ძალიან კარგად გამოიყურება. აქედან გამომდინარე, კლუბის ხელმძღვანელობას, მთავარ მწვრთნელ ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩის თამადობით, მისი შეძენა გადაუწყვეტია. „ლაციოსა“ და „ბარსელონას“ ყოფილი ნახევარმცველი ამჟამად ბრაზილიური „კორინთიანსის“ საკუთრებაა, რომელიც მასში 1,7 მილიონ ევროს ითხოვს. ფრანგები კი ჯერჯერობით მხოლოდ 1,2 მილიონზე არიან ყაბულს.

შვეიცარიული „იანგ ბოიზი“, „სერვეტი“ და „ვილი“ შესაძლოა, ლიცენზიის გარეშე დარჩნენ. ზემოთ ხსენებულ კლუბებს ფინანსური პრობლემები აქვთ და ქვეყნის საფეხბურთო ლიგამ მათ უკვე მოუხსნა ლიცენზია, მაგრამ გუნდებს აპელაციის შეტანა შეუძლიათ, რომლის განხილვაც თვის ბოლოს მოხდება. „იანგ ბოიზი“ და „სერვეტი“ შვეიცარიის ჩემპიონატში, შესაბამისად, მეორე და მესამე ადგილებზე არიან, ხოლო „ვილმა“ ქვეყნის თასი მოიპოვა.

იტალიური „მილანის“ თავკაცმა კარლო ანჩელოტიმ ცოტა ხნის წინ განაცხადა, ერნან კრესპოს „შავ-წითლების“ რიგებში გადმოსვლა არარეალურია და ჟურნალისტების მონაჩმახიაო. ანჩელოტიმ ისიც დასძინა, არგენტინელს ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის არანაირი შანსი არ ექნება, თუნდაც იმიტომ, რომ აქამდე „ინტერში“ თამაშობდაო. ახლა კი „მილანის“ დამრიგებელმა აზრი შეიცვალა: „ვფიქრობ, კრესპო მოხარული იქნება თუ ისეთ დიდ კლუბში გადავა, როგორიც „მილანია“. თანაც მას იტალიაში თამაშის გამოცდილება უკვე აქვს და ჩვენს სათამაშო სქემას მალევე მოერგება“.

ინგლისური „ბოლტონი“ ალბათ მაინც მიაღწევს საწადელს და ბრაზილიელი რივალდოთი გაძლიერდება. როგორც იცით, ამ ტრანსფერზე დიდ ხანია, საუბრობენ. თავდაპირველად ჭორები გავრცელდა, მერე, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო რივალდოს ინგლისში გადაბარგება, მაგრამ ბოლო მომენტში თითქოს ყველაფერი საბოლოოდ ჩაიშალა. ახლა კი „რიბოკის“ ბინადრებმა ბრაზილიიდან ფაქსი მიიღეს, რომელშიც რივალდოს სიტყვიერი თანხმობაა. აღსანიშნავია, რომ რივალდოს გადაბირების სურვილი „სელტიკსაც“ ჰქონდა.

ბელგიური „მუსკრონის“ 23 წლის ვარსკვლავი ლუიჯი პერონი მომავალ ზაფხულს ფრანგულ „ოსერს“ შეუერთდება და კლუბთან ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს. პერონიმ მიმდინარე სეზონში 26 გოლის გატანა შეძლო და ბელგიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა. სავარაუდოდ, „მუსკრონი“ ახალგაზრდა თავდამსხმელში 1,5 მილიონ ევროს მიიღებს.

არგენტინა

კლასუსურა. XIII ტური

ბანფილდი — კოლონი 3:1; ოლიმპო — სან ლორენსო 2:0; არსენალი — ხიმნასია 1:0; ესტუდიანტესი — რასინგი 1:0; რივერ პლეიტი — ველესი 1:0; კილმესი — როსარიო 1:0; ოლდ ბოიზი — ჩაკარიტა 4:1; ნუევა ჩიკაგო — ლანუსი 0:0; ინდეპენდიენტე — ბოკა ხუნიორსი 1:4; ატლეტიკო — ტალიერესი 1:0

კარლოს ბილარდო

ბილარდომ მოიხედა
მალე ბოკა-რივერი მოვა

კარლოს ბილარდოს „ესტუდიანტესმა“ შვიდმატჩიანი შავი სერია დაასრულა და როგორც იქნა, მოიგო. „ესტუდიანტესმა“ როდოლფო აკინოს თავურით დაამარცხა „რასინგი“. ამ მოგებით, ბილარდომ ოდნავ მოიხედა და მისი რეპუტაციაც გადარჩა.

„ესტუდიანტესი“ მე-16 ადგილზეა ცხრილში, „რასინგი“ კი, რომელსაც უბადლო ფილოლი წვრთნის, მეოთხეზე, თუმცა, უკვე რვა ქულით ჩამორჩება ლიდერ „ბოკა ხუნიორსს“.

„ბოკამ“, რომელმაც წაუგებლად გალია 13 ტური, ამჯერად „ინდეპენდიენტე“ გაანადგურა. ანტონიო ბარიეხომ დუბლი შეასრულა, ერთიც საკუთარ კარში შეაგდო პარაგვაელმა მცველმა დარიო კაბალიერომ, მეოთხე კი ყრმა ფრანკო კანგელემ გაიტანა. „ინდეპენდიენტეს“ მწვრთნელი ომარ პასტორსა მოედნის კიდიდან გააძევეს, რადგან ბოკელ მცველს, პაბლო ალვარესს ჩხუბი აუტეხა.

„ბოკას“ 2 ქულით ჩამორჩება „რივერ პლეიტი“, რომელმაც კლაუდიო უსაინის თავურით გაიტანა თამაშის ერთადერთი გოლი „ველეს სარსფილდის“ კარში. სხვაფრივ „რივერმა“ ოთხჯერ გაარტყა ბურთი ძელს.

ამ უქმეებზე „ბოკა“ და „რივერი“ ერთმანეთს ხვდებიან და ჩემპიონის ვინაობაც ალბათ ამ მატჩში გაირკვევა.

ბოკა ხუნიორსი	13	9	4	0	29:11	31
რივერ პლეიტი	13	9	2	2	33:15	29
ტალიერესი	13	7	3	3	23:15	24
რასინგი	13	7	2	4	22:19	23
ველესი	13	6	4	2	24:15	22
კოლონი	13	6	2	5	17:20	20
ბანფილი	13	4	6	3	18:14	19
კილნესი	13	4	6	3	14:18	18
ოლდ ბოიზი	13	3	8	2	22:17	17
ინდეპენდიენტე	13	4	5	4	16:18	17
არსენალი	13	3	7	3	11:15	16
ატლეტიკო	13	4	3	6	16:18	15
ლანუსი	13	4	3	6	15:18	15
ნუევა ჩიკაგო	13	2	8	3	14:18	14
სან ლორენსო	13	2	7	4	12:14	13
ესტუდიენტესი	13	3	4	6	13:22	13
ოლიმპო	13	3	3	7	11:21	12
ხიმნასია	13	2	5	6	17:19	11
როსარიო	13	2	3	8	13:23	9
ჩაკარიტა	13	1	5	7	14:28	8

რიოელთა ჭირი ბოლოს ვერ მაღავს

ბრაზილია

სერია A. V ტური

სან კაეტანო — კრისიუმა 5:0; სანტოსი — ფუვენტუდე 2:1; გუარანი — ატლ. პარანენსე 0:0; პარანა — კრუზეირო 2:0; ვასკუ და გამა — გრემიო 1:1; პალმეირასი — პონტე პრეტა 3:0; ატლ. მინეირო — კორინთიანსი 2:2; ბოტაფოგო — პაისანდუ 2:2; ინტერნასიონალი — ფლუმინენსე 0:0; გოიასი — ფიგეირენსე 1:0; ვიტორია — ფლამენგო 5:1; კურიტიბა — სან პაულუ 1:2

„სანტოსს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს, ვანდერლეი ლუშემბურგო, რომლის ხელშიაც გუნდმა პირველივე თამაში მოიგო. „თევზებმა“ „ფუვენტუდე“ დაამარცხეს 2:1.

რიო დე ჟანეიროს ოთხი დიდი კლუბი კი განაგრძობს საწყალობელ გამოსვლებს. „ფლამენგომ“ 1:5 წააგო „ვიტორიასთან“, „ბოტაფოგომ“, „ფლუმინენსემ“ და „ვასკუ და გამამ“ კი თითო ქულა გამოღლიტეს მეტოქეებს. ცხრილის ბოლო 5 ადგილიდან 3 „კარიოკას“ დიადებს უჭირავთ, მათ ოცი თამაშიდან მხოლოდ ერთი მოიგეს. „ფლამენგოს“ 2 გოლი ედილსონმა გაუტანა, „ფლამენგოდანვე“ უდისციპლინობისთვის გაძევებულმა ბიჭმა. „სანტოსის“ საქმე კი ისე იყო, რომ გუნდმა 87-ე წუთზე, დავიდის პენალტით მოიგო და ლუშემბურგო, რომელმაც შარშან „კრუზეირო“ გააჩემპიონა, ძალიანაც გაახარა. ნაკრების ყოფილ მწვრთნელს ხუთშაბათიდან უჭირავს ემერსონ ლეაოს ადგილი. ლეაო ორ წელიწადს იყო „ველა ბელმირაზე“, პელეს ძველ გუნდს პირველად მოაპოვებინა ბრაზილიის ჩემპიონობა და 40 წელიწადში ასევე პირველად გაიყვანა ლიბერტადორესის თასის ფინალში.

რიოს კლუბების ჭირიანი ამბები რომ გავაგრძელოთ, „ფლამენგო“ მე-20-ა 24-გუნდიან ცხრილში. „ვასკუში“ კი გამოჩნდა იუგოსლავიელი დეიან პეტკოვიჩი, რომელიც ადრე „ფლამენგოში“ თამაშობდა, მერე კი ჩინეთში. პეტკოვიჩმა პენალტი გაუტანა „გრემიოს“, თუმცა კლაუდიო მორომ გაათანაბრა.

ბოლოსწინა ადგილზე მყოფმა „ბოტამ“ ორბურთიანი უპირატესობა გაფლანგა „პაისანდუსთან“, „ფლუ“ კი, რომლის მერე „ვასკუს“ ძლევა რიოელი კლუბების ერთადერთი გამარჯვებაა ამ ჩემპიონატში.

„გუარანის“ მწვრთნელი ჟოელ სანტანა სეზონის მეხუთე გადაყენებული მწვრთნელი გამოდგა, მისი გუნდის მიერ „ატლეტიკო პარანაენსეს“ ვერძლევის შემდეგ.

„სან პაულუმ“ 2:1 მოუგო „კურიტიბას“ და პირველ ადგილზე დადგა, „კურიტიბა“ კი, რომელსაც განაცხადის დარღვევის გამო 6 ქულა მოაკლეს, ბოლოა.

ლუჩაუ დე მოშაკუ

სან პაულუ	5	4	1	0	8:4	13
ვიტორია	5	3	1	1	16:6	10
გოიასი	5	3	1	1	11:5	10
პონტე პრეტა	5	3	1	1	7:6	10
ფიგეირენსე	5	3	0	2	7:5	9
პარანა	5	3	0	2	8:13	9
პალმეირასი	5	2	2	1	9:3	8
სან კაეტანო	4	2	2	0	8:2	8
კრუზეირო	5	2	2	1	9:8	8
ინტერნასიონალი	5	2	2	1	3:2	8
კრისიუმა	5	2	2	1	5:8	8
სანტოსი	5	2	0	3	8:9	6
გრემიო	5	1	3	1	6:6	6
ფლუმინენსე	5	1	3	1	5:5	6
ატლ. პარანენსე	5	1	2	2	4:5	5
გუარანი	5	1	2	2	4:5	5
ფუვენტუდე	4	1	1	2	7:5	4
კორინთიანსი	5	1	1	3	6:14	4
ატლ. მინეირო	5	0	4	1	6:7	4
ფლამენგო	5	0	3	2	3:8	3
ვასკუ და გამა	5	0	2	3	2:5	2
პაისანდუ	5	0	2	3	6:11	2
ბოტაფოგო	5	0	2	3	5:11	2
კურიტიბა	5	1	3	1	5:5	1

ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატი
საფრანგეთი (4 — 15 მაისი)

UNDER17 CHAMPIONSHIP

A ჯგუფი

II ტური. 6 მაისი

ჩრდ. ირლანდია 2:5 თურქეთი

საფრანგეთი 1:0 ესპანეთი

III ტური. 9 მაისი

თურქეთი 1:2 საფრანგეთი

ჩრდ. ირლანდია 1:4 ესპანეთი

საბოლოო ცხრილი

საფრანგეთი	3	3	0	0	6:1	9
ესპანეთი	3	2	0	1	5:2	6
თურქეთი	3	1	0	2	6:5	3
ჩრდ. ირლანდია	3	0	0	3	3:12	0

A ჯგუფი

II ტური. 6 მაისი

უკრაინა 1:2 ავსტრია

ინგლისი 3:1 პორტუგალია

III ტური. 9 მაისი

პორტუგალია 4:0 უკრაინა

ინგლისი 1:0 ავსტრია

საბოლოო ცხრილი

ინგლისი	3	3	0	0	6:1	9
პორტუგალია	3	1	1	1	5:3	4
ავსტრია	3	1	1	1	2:2	4
უკრაინა	3	0	0	2	1:8	0

ნახევარფინალი. 12 მაისი

საფრანგეთი — პორტუგალია

ინგლისი — ესპანეთი

მექსიკა

კლასუსურა. XVIII ტური

სანტოს ლაგუნა — ტიგრესი 2:3; ხაგუარესი — მორელია 2:1; მონტერეი — პუებლა 2:2; ვერაკრუსი — კრუს ასული 2:6; სან ლუისი — ტოლუკა 1:1; ატლასი — გვადალახარა 1:1; პაჩუკა — ირაპუატო 1:1; ატლანტე — კერეტარო 2:1; ტეკოსი — უნამი 1:3; ამერიკა — ნეკაქსა 3:2

აშუ

MLS. VI ტური

ჯოლორადო — ნიუ ინგლენდი 0:0; დალასი — ლოს ანჯელესი 1:3; ვაშინგტონი — კოლამბუსი 1:1; კანზასი — ჩიკაგო 2:2; სან ხოსე — ნიუ იორკი 5:5

ესპანეთი

პრიმერადივიზიონი XXXVI ტური

რასინგი 2:2 ატლეტიკო

0:1 იბაგასა (27), 1:1 კრისტიან ალვარესი (57), 1:2 დე ლოს სანტოსი (59), 2:2 აფეკი (89)

რასინგი: რიკარდო, მორატონი (ბოდიპო 46), პაბლო კასარი, ხუანმა, აიოზე (აფეკი 65), ნაფტი, მორანი (ხონათანი 71), კრისტიან ალვარესი, ბენაიუნი, რეგუერო, ხავი გერერო

მწვრთნელი: ლუკას ალკარასი

ატლეტიკო: ხუანმა, გასპარი, გარსია კალვო, ლეკი, სერხი, დე ლოს სანტოსი, მუსამპა (აგილერა 46), ნოვო, იბაგასა (სანტი 72), ფ. ტორესი, პაუნოვიჩი (ხორხე 87)

მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო

გაფრთხილება: ბენაიუნი, ბოდიპო, კრისტიან ალვარესი, იბაგასა, დე ლოს სანტოსი, ნოვო, ნოვო, პაუნოვიჩი

გაძევება: ნოვო (31)

მსაჯი: ლოსანტოს ომარი

14 753 მაყურებელი

ვალენსია	36	23	8	5	70:24	77
რეალი	36	21	7	8	69:47	70
ბარსელონა	36	20	9	7	61:37	69
დეპორტივო	36	19	8	9	56:34	65
ბილბაო	36	14	11	11	48:44	53
ატლეტიკო	36	14	10	12	46:48	52
ვილიარეალი	36	14	9	13	45:45	51
მალაგა	36	15	5	16	47:51	50
სევილია	36	13	10	13	51:44	49
ოსასუნა	36	11	15	10	37:34	48
ბეტისი	36	11	13	12	42:41	46
მალიორკა	36	13	6	17	48:63	45
ალბასეტე	36	12	8	16	38:44	44
რასინგი	36	11	10	15	48:61	43
სოსიედადი	36	10	12	14	44:51	42
სარაგოსა	36	11	9	16	42:53	42
ესპანიოლი	36	12	4	20	44:60	40
სელტა	36	9	12	15	46:62	39
ვალიადოლიდი	36	9	11	16	43:55	38
მურსია	36	4	11	21	27:54	23

ნორვეგია

ტიპელიგა. V ტური

ჰამ კამი — ლინი 1:0; მიოლდე — ლილესტრიომი 2:2; ოდ გრენლანდი — ფრედრიკსტადი 5:2; სტაბეკი — ბოდო გლიმტი 2:5; სოგნდალი — ბრანი 3:1; ვოლერენგა — ვიკინგი 0:0. *ტრომსიო — რუსენბორგი (იხ. მე-2 გვერდზე)*

ოდ გრენლანდი	5	3	2	0	10:3	11
ტრომსიო	4	3	1	0	8:2	10
ჰამ კამი	5	2	3	0	5:2	9
ვოლერენგა	5	2	3	0	5:3	9
რუსენბორგი	4	2	2	0	5:2	8
ბოდიო გლიმტი	5	2	0	3	7:8	6
ლილესტრიომი	4	1	2	1	6:5	5
ლინი	5	1	2	2	3:4	5
მოლდე	5	1	2	2	5:7	5
ბრანი	5	1	1	3	5:6	4
სოგნდალი	5	1	1	3	6:9	4
სტაბეკი	5	1	1	3	6:10	4
ფრედრიკსტადი	5	1	1	3	5:11	4
ვიკინგი	4	0	3	1	1:5	3

უკრაინა

პრემიერლიგა. XXIV ტური

შახტარი — ზირკა 3:0; დნიპრო — მეტალურგი (დ) 0:0; კარპატი — ობოლონი 1:0; ჩერნომორეცი — ვოლინი 1:1; არსენალი — ტავრია 1:0; კრივბასი — ვორსკლა 3:1; მეტალურგი (ზ) — ილიჩევეცი 0:0; ბორისფენი — დინამო 2:0

დინამო	24	18	4	2	48:16	58
შახტარი	24	16	4	4	44:18	52
დნიპრო	24	14	7	3	39:17	49
მეტალურგი (დ)	24	10	9	5	38:26	39
ჩერნომორეცი	24	9	11	4	31:24	38
არსენალი	24	9	7	8	28:25	34
ობოლონი	24	9	6	9	22:25	33
ბორისფენი	24	7	7	10	16:23	28
ილიჩევეცი	24	6	10	8	23:31	28
კრივბასი	24	7	6	11	22:29	27
ვოლინი	24	7	6	11	21:32	27
ტავრია	24	5	8	11	15:23	23
მეტალურგი (ზ)	24	5	8	11	18:29	23
ვორსკლა	24	5	8	11	18:33	23
კარპატი	24	5	7	12	18:26	22
ზირკა	24	2	8	14	11:34	11

„ზირკას“ დაკლებული აქვს 3 ქულა

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. I ტური

ალიანსი — ინტერი 1:0; ტურკუ — ჰიკ 2:2; ჰაამენლინა — როვანიემი 2:2; ლაპტი — ტპ-47 1:1; ჰაკა — იარო 2:0; ჯაზი — ტამპერე 3:1; კტპ — მიუპა 2:0

უელდეთი

ალსვენსკა-VI ტური

მალმიო — აიკ 0:0; იურგორდენი — კალმარი 0:3; ჰალმსტადი — ლანდსკრონა 5:3; სუნდსვალი — ელფსბორგი 0:0. *ჰამარბი — ტრელებორგი, ჰელსინგბორგი — გიოტებორგი და იორგრიტე — იორებრო (იხ. მე-2 გვერდზე)*

ჰალმსტადი	6	5	1	0	16:7	16
კალმარი	6	4	1	1	10:5	13
მალმიო	6	3	3	0	12:3	12
ჰამარბი	5	3	2	0	5:2	11
გიოტებორგი	5	2	2	1	5:2	8
იურგორდენი	6	2	2	2	9:10	8
იორგრიტე	5	1	3	1	5:5	6
ტრელებორგი	5	1	3	1	5:5	6
აიკ	6	1	3	2	3:6	6
ლანდსკრონა	6	1	2	3	7:9	5
ჰელსინგბორგი	5	0	3	2	6:8	3
სუნდსვალი	6	0	3	3	3:7	3
იორებრო	5	1	0	4	6:14	3
ელფსბორგი	6	0	2	4	3:12	2

დანია

სუპერლიგა. XXVIII ტური

აკადემისკი — ნორდსიელანდი 2:1; ორჰუსი — ესბიერგი 4:1; ვიბორგი — ოლბორგი 0:1; ბრონდბიუ — ოდენსე 1:1; ფრემი — ჰერფიოლგე 3:2; მიდტიულანდი — კოპენჰაგენი 2:1

ესბიერგი	29	17	8	4	63:34	59
კოპენჰაგენი	29	17	7	5	48:24	58
ბრონდბიუ	29	17	7	5	48:25	58
ოდენსე	29	14	7	8	56:43	49
ოლბორგი	29	14	7	8	44:37	49
მიდტიულანდი	29	12	6	11	56:43	42
ვიბორგი	29	10	8	11	42:37	38
ორჰუსი	29	10	3	16	41:57	33
ნორდსიელანდი	29	7	8	14	31:53	29
ჰერფიოლგე	29	7	6	16	28:44	27
ფრემი	29	7	3	19	33:54	24
აკადემისკი	29	6	2	21	25:64	20

სერბეთი

პირველი ლიგა. XXX ტური

რადნიჩკი — სუტიესკა 0:3; ბორაცი — კომი 4:0; ჟელეზნიკი — ობილიჩი 0:0; ბუდუჩნოსტი — პარტიზანი 1:0; ჰაიდუკი — ნაპრედაკი 0:1; ზეტა — სარტიდი 4:0; ცრვენა ზვეზდა — ვოივოდინა 3:0; ზემუნი — ოფკ 2:3

ირლანდია

პრემიერლიგა. X ტური

დუბლინი — კორკ სიტი 0:1; შემროკი — შელბურნი 3:0; ბოჰემიანსი — ლონგფორდი 0:0; დროჰედა — უოტერფორდი 0:0; დერი სიტი — სენტ პატრიკსი 0:0

უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. XXVII ტური

უიპეშტი — მტკ 5:1; შოპრონი — ბალატონი 3:0; ვიდეოტონი — ბეკეშჩაბა 1:3; პეჩი — დიორ ეტო 0:2; ზალაეგერსეგი — ჰალადაში 7:0; დებრეცენი — ფერენცვაროში 3:2

ხორვატია

ნაციონალლიგა. XXX ტური

ზადარი — დინამო 1:1; ჰაიდუკი — რიეკა 2:0; ვარტექსი — ოსიეკი 2:0; მარსონია — ინტერი 0:3; კამენი — სლავენი 1:0; ზაგრები — ციბალია 2:1

სლოვენია

სი მობილ ლიგა. XXVIII ტური

მურა — ნოვა გორიცა 1:1; პრიმორიე — მარიბორი 2:2; კოპერი — ლიუბლიანა 2:0; დრავოგრადი — შმარტნო 2:1; პტუი — პუბლიკუმი 0:0; ოლიმპია — დომზალე 1:1

აზერბაიჯანი

თასის ფინალი

ნეფთჩი 1:0დ.დ.(0:0) შამძირი

1:0 აბასოვი (104)

სომხეთი

თასის ფინალი

პუნიკი 0:0(პენ.6:5) ბანანცი

იაპონია

ჯეი ლიგა. IX ტური

იჩიჰარა — ნაგოია 1:1; ნიიგატა — ურავა 0:3; ჰიროშიმა — კობე 2:0; კაშიმა — ოიტა 3:0; იოკოჰამა — ვერდი 3:1; შიმიცუ — სერეზო 1:2; გამბა — ივატა 0:2; ტოკიო — კაშივა 2:1

სარბიელი: კრიკეტი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა. XXXIV ტური						
		12 მაისი						
23.45	001	საუთჰემპტონი-ნიუკასლი	3,2	3,3	2,05	1,62	1,24	1,26
		ინგლისი. კონფერენსი. პლეი-ოფი. ფინალი						
		16 მაისი						
17.00	061	შრიუსბერი-ალდერშოტი	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
		შოტლანდია. პრემიერლიგა. XXXVII ტური						
		11 მაისი						
23.45	062	დანდი იუნაიტედი-დანფერმლაინი	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
		12 მაისი						
23.45	063	დანდი-ლივინგსტონი	2,05	3,2	3,4	1,24	1,27	1,64
23.45	064	კილმარნოკი-აბერდინი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
23.45	065	მოზერუელი-სელტიკი	7,0	4,0	1,4	2,54	1,16	1,03
23.45	066	რეინჯერსი-ჰართსი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
		საფრანგეთი. I დივიზიონი. XXXVI ტური						
		11 მაისი						
21.15	178	ლანსი-ოსერი	2,6	3,2	2,45	1,43	1,26	1,38
23.45	179	ბორდო-პსჟ	3,5	3,2	2,0	1,67	1,27	1,23
		12 მაისი						
23.30	180	აიაჩო-სოშო	2,1	3,2	3,3	1,26	1,28	1,62
23.30	181	ლე მანი-ლილი	1,7	3,3	4,2	1,12	1,21	1,84
23.30	182	ლიონი-ბასტია	1,22	5,0	11,0	1	1,09	3,43
23.30	183	მარსელი-მონპელიე	1,7	3,4	4,0	1,13	1,19	1,83
23.30	184	ნანტი-გენგამი	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
23.30	185	ნიცა-ტულუზი	2,35	3,1	2,6			
23.30	186	რენი-მეცი	2,25	3,1	2,8	1,3	1,24	1,47
23.30	187	სტრასბური-მონაკო	4,0	3,1	1,85	1,74	1,26	1,15
		ბელგია. II კლასი. პლეი-ოფი						
		13 მაისი						
23.00	259	ტუბეკე-ოსტენდე	2,35	3,1	2,7	1,33	1,25	1,44
23.00	260	გეელი-რუხელარე	2,3	3,1	2,8	1,32	1,26	1,47
		ავსტრია. I დივიზიონი. XXXIV ტური						
		11 მაისი						
22.00	275	აუსტრია(ლ)-უნგერზიბენბრიუნი	2,05	3,1	3,3	1,23	1,26	1,59
22.00	277	ლინცერი-კაფენბერგი	1,65	3,4	3,4	1,11	1,11	1,7
22.00	278	ლეობენი-რიდი	2,3	2,9	2,9	1,28	1,28	1,45
		შვეიცარია. სუპერლიგა. XXXIV ტური						
		12 მაისი						
22.30	286	აარაუ-ვილი	1,7	3,4	4,4	1,13	1,22	1,91
22.30	287	სტ.გალენი-გრასჰოპერი	2,1	3,2	3,2	1,26	1,26	1,6
22.30	288	თუნი-სერვეტი	2,4	3,2	2,6	1,37	1,24	1,43
22.30	289	ქსამაქსი-ბაზელი	2,7	3,3	2,15	1,48	1,19	1,3
22.30	290	ციურიხი-იანგ ბოიზი	2,4	3,2	2,6	1,37	1,24	1,43
		შვეიცარია. ჩელენჯლიგა. XXX ტური						
		12 მაისი						
22.30	300	ბადენი-ლუცერნი	1,9	3,2	3,4	1,19	1,21	1,64
22.30	301	ბელინცონა-შაფჰაუზენი	3,6	3,3	1,8	1,72	1,19	1,16
22.30	302	კიასო-ბულე	1,4	3,8	6,5	1,02	1,15	2,39
22.30	303	კრინსი-დელემონი	2,0	3,2	2,8	1,23	1,16	1,49
22.30	304	მეირინი-კონკორდია	2,15	3,2	2,9	1,28	1,23	1,52
22.30	305	სიონი-ვოლენი	1,45	3,8	5,6	1,04	1,15	2,26
22.30	306	ვადუცი-შო დე ფონი	1,45	3,6	5,3	1,03	1,13	2,14
22.30	307	ვინტერთური-ივერდონი	1,75	3,4	3,6	1,15	1,17	1,74
		დანია. სუპერლიგა. XXX ტური						
		13 მაისი						
22.00	318	ნორდსიელანდი-ოლბორგი	3,0	3,3	2,15	1,57	1,25	1,3
22.00	319	აკადემისკი-ოდენსე	4,2	3,8	1,65	1,99	1,18	1,15
22.00	320	ჰერფიოლგე-ესბიერგი	3,6	3,4	1,8	1,74	1,19	1,17
22.00	321	მიდტიულანდი-ორჰუსი	1,7	3,4	4,4	1,13	1,22	1,91
22.00	322	ფრემი-ვიბორგი	2,4	3,3	2,5	1,38	1,22	1,42
23.00	323	კოპენჰაგენი-ბრიონდბიუ	2,35	3,2	2,7	1,35	1,25	1,46
		შვედეთი. სუპერეტა. IV ტური						
		11 მაისი						
22.00	375	ჰეკენი-გაის	1,7	3,6	3,8	1,15	1,17	1,84
22.00	376	ბრომაპოიკარნა-ნორჩიოპინგი	2,3	3,3	2,6	1,35	1,22	1,45
		ნორვეგია. ტიპელიგა. V ტური						
		12 მაისი						
22.00	389	ვიკინგი-ლილესტრიომი	2,4	3,2	2,6	1,37	1,24	1,43
		ნორვეგია. I დივიზიონი. VI ტური						
		16 მაისი						
21.00	398	ჰიოდი-ალესუნდი	3,4	3,5	1,8	1,72	1,17	1,18
21.00	399	მანდალი-ჰაუგესუნდი	2,05	3,5	2,9	1,29	1,2	1,58
21.00	400	პორს გრენლანდი-სკეიდი	2,5	3,5	2,25	1,45	1,18	1,36
21.00	401	რაუფოსი-ჰიონეფოსი	2,15	3,5	2,7	1,33	1,19	1,52
21.00	402	სანდეფიორდი-ბრინი	1,55	3,8	4,8	1,1	1,17	2,12
21.00	403	სტრიომსგოდსეტი-მოსი	2,4	3,5	2,35	1,42	1,18	1,4
21.00	404	ტრომსდალენი-კონგსვინგერი	3,5	3,6	1,75	1,77	1,16	1,17
21.00	405	ვარდ ჰაუგესუნგი-სტარტი	4,8	3,8	1,55	2,12	1,17	1,1
		სლოვაკეთი. I ლიგა. XXIX ტური						
		11 მაისი						
19.30	488	ბ.ბისტრიცა-დუბნიცა	1,5	3,5	5,6	1,04	1,18	2,15
19.30	489	პეტრუალკა-ჟილინა	2,6	2,9	2,5	1,37	1,27	1,34
19.30	490	ტრნავა-პუხოვი	1,7	3,4	4,0	1,13	1,19	1,83
21.00	491	ტრენჩინი-სლოვანი	1,9	3,3	3,3	1,2	1,2	1,65
		ხორვატია. 1.HNL. XXXI ტური						
		12 მაისი						
20.00	510	ვარტეკსი-ზადარი	1,4	3,6	5,6	1	1,12	2,19
20.00	511	ოსიეკი-ჰაიდუკი	4,8	3,6	1,5	2,05	1,14	1,05
20.00	512	რიეკა-დინამო	4,2	3,3	1,7	1,84	1,21	1,12
20.00	515	სლავენი-ინტერი	1,8	3,2	3,6	1,15	1,19	1,69
		იაპონია. ჯეი ლიგა. VII ტური						
		12 მაისი						
15.00	616	იოკოჰამა-შიმიცუ	1,5	3,5	5,3	1,04	1,16	2,1
		იტალია. თასი. ფინალი. II მატჩი						
		12 მაისი						
24.00	627	იუვენტუსი-ლაციო	1,8	3,2	4,2	1,15	1,26	1,81
		რუსეთი. თასი. 1/2 ფინალი. II მატჩები						
		12 მაისი						
16.00	629	შინიკი-ტერეკი	1,6	3,3	4,8	1,07	1,2	1,95
16.00	630	კრილია-მოსკოვი	1,55	3,4	5,6	1,06	1,21	2,11

			1	X	2	1-X	1-2	X-2
ჩეხეთი. თასი. 1/2 ფინალი								
12 მაისი								
19.25	631	სპარტა-ლიბერეცი	1,35	4,0	7,5	1	1,14	2,6
ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. II მატჩები								
11 მაისი								
02.30	635	სანტოსი(ბრ)-უნივერსიტარია	1,35	4,0	7,5	1	1,14	2,6
05.00	636	რივერ პლეიტი-სანტოსი(მექ)	1,45	3,5	7,0	1,02	1,2	2,33
07.30	637	ამერიკა-სან კაეტანო	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67
12 მაისი								
03.05	638	კრუზეირო-დეპორტივო	1,4	3,6	7,5	1	1,17	2,43
03.15	639	ბოკა ხუნიორსი-სპორტინგი	1,3	4,2	8,0	1	1,11	2,75
05.45	640	სან პაულო-როსარიო	1,55	3,5	5,3	1,07	1,19	2,1
13 მაისი								
02.30	641	ნასიონალი-ტახირა	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
07.30	642	ონსე კალდასი-ბარსელონა	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95

			1	X	2	1-X	1-2	X-2
ჰოკეი. NHL								
11 მაისი								
06.00	1002	სან ხოსე-კალგარი	1,9	3,5	3,1	1,23	1,17	1,64
კალათბურთი. ესპანეთი								
11 მაისი								
23.45	1121	ესტუდიანტესი-რეალი	1,55	10,0	2,1	1,34	1	1,73
12 მაისი								
23.30	1122	ბარსელონა-აუნაკაბლე	1,17	10,0	3,6	1,04	1	2,64
23.30	1123	ვალენსია-უნიკახა	1,25	10,0	3,1	1,11	1	2,36
23.30	1124	ტაუ-ხუვენტუდი	1,17	10,0	3,6	1,04	1	2,64
კალათბურთი. საბერძნეთი								
13 მაისი								
21.00	1142	ირაკლისი-პაოკ	1,5	10,0	2,1	1,3	1	1,73
კალათბურთი. NBA								
11 მაისი								
05.00	1161	ნიუ ჯერსი-დეტროიტი	1,45	10,0	2,3	1,26	1	1,86
07.30	1162	ლეიკერსი-სან ანტონიო	1,3	10,0	2,8	1,15	1	2,18

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
5101	საუთჰემპტონი-ნიუკასლი	4,8	10,0	20,0	5,6	4,4	4,0	20,0	10,0	3,1

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

5201	საუთჰემპტონი-ნიუკასლი	1,75	1,85

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
5501	საუთჰემპტონი-ნიუკასლი	3,0	2,8	2,0

I ტაიმის შედეგი

5001	საუთჰემპტონი-ნიუკასლი	3,6	2,1	2,5	1,32	1,47	1,14

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შანსი დაგებულად ჩაითვლება)

5401	საუთჰემპტონი-ნიუკასლი	2,0	1,8

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
5301	საუთჰემპტონი-ნიუკასლი	1,65	1,95

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
ხელვაჩაური	აღმაშენებლის ქუჩა № 50	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

საქართველოს ჩემპიონატი. პლეი ოფი

ფინალი. სამ მოგებამდე

დინამო VS ბასკო

ვერის ბაღის მელოდიები

ვიღაცას ბათუმი მოუპარია

ეროვნული ჩემპიონატის რიგით მე-13 ფინალური სერიის წინ ასეთი უცნაური ვითარებაა შექმნილი: ერთ მხარეს ყოველმხრივ დალხენილი, მშვენიერი ბაზისა და ხელფასების მქონე მოქმედი ჩემპიონი „დინამო" დგას, მეორე მხარეს მისი უსახლკარო მოცილე, უხელფასო და კარდაკარ მოვარჯიშე ბათუმის „ბასკო".

ამ ჯახის მთავარი ინტრიგა „უთანასწორობა" გახლავთ — ფაქტობრივად დაშლილი გუნდით ბათუმელებმა ფინალში გასვლა მოახერხეს და „სტუ-ჯეოსელთან" საჩემპიონო ბრძოლების მომლოდინე „დინამოს" დავთრები აურიეს.

ეს გუნდები შეხვდნენ წინა ორ ფინალშიც. თავდაპირველად პაველ გოოგეს გაწვრთნილმა „ბასკომ" თბილისელებს შანსი არ დაუტოვა, 3:0 იძალა, შარშან კი უკვე დრაჟენ ბრაიკოვიჩის დამოძღვრილმა „დინამომ" იჩემპიონა დაძაბულ, ხუთმატჩიან სერიაში. ამ ფინალსაც ბრძოლის კვამლი უდის, თუმც ჯახს მაშინ ნახავდით, „ბასკოს" სერიის თავისი წილი მატჩებისთვის ბათუმში რომ ემასპინძლა.

ახლა კი ხალხნაკლული „ბასკო" (პირველ მატჩში ჟოლივეტ ტუჯანი არ ეყოლება) ხან ვერის ბაღში ვარჯიშობს, ხან კუს ტბაზე დარბის, გუშინ კი თსუ-მ თავისი დარბაზი დაუთმო, კაპიკი არ გვინდა, მოემზადეთ თქვენს გემოზეო. ამ დროს კი „დინამო" თავის ავი თვალისთვის არდასანახ დიღმის ბაზაზეა შერაზული და ნაკრების ხორვატი თავკაცისგან უკანასკნელ დარიგებებს იღებს.

სანამ „ბასკოს" ულხინდა, ამ სეზონის ყველა შეხვედრაში აჯობა ბრაიკოვიჩის გუნდს და ეს გააკეთა არა ძლიერი შემადგენლობითა და გამოკვეთილი ლიდერების მარიფათით, არამედ გამართული (თავისთავად საქართველოს კვალობაზე), გუნდური და კომბინაციური თამაშით. თუ კარსმომდგარ სერიაში „ბასკოს" რამის ეიმედება, უპირველესად აზრიანი და შეხმატკბილებული კალათბურთისა, თორემ ძალით და „ვარსკვლავთა" სიმრავლით რომ „დინამოს" ვერ აჯობებს, თითოეულმა ბასკოელმაც კარგად იცის.

ნუგზარ კანდელაკი, „ბასკოს" მთავარი მწვრთნელი: „ბათუმში რომ გვეთამაშა, შანსები თანაბრად კი არა, სამოცდაათი ოცდაათზე იქნებოდა ჩვენს სასარგებლოდ, ახლა კი პირიქითაა, ასეთ უპირატესობას „დინამო" ფლობს. ორი თვეა, რეჟიმიდან ვართ ამოვარდნილები, თუ ადრე კვირაში 14-ჯერ ვვარჯიშობდი, ახლა 2-3-ჯერ თუ ვახერხებთ. თუ ფინალური სერია გაიწელა, ალბათ უკეთ მომზადებული „დინამო" გაიმარჯვებს. მეტოქის დარი პირობები რომ გვქონდეს... თუმც ისე არ გამიგოთ, თითქოს უიმედოდ ვართ, გარკვეულ უპირატესობას ჩვენც ვფლობთ."

დავით ბერძენიშვილი, „ბასკოს" ცენტრი: „ახლა, როცა გაირკვა, რომ ბათუმში აღარ ვთამაშობთ, ალბათ ერთადერთ უპირატესობად ფსიქოლოგიური განწყობა დაგვრჩა. ჩვენგან კაციშვილი არაფერს ითხოვს, იმითაც გამოვიჩინეთ თავი, ფინალში რომ გავედით. ჩვენ ახლა საკუთარი სიხარულისთვის ვთამაშობთ, სარკეში მხოლოდ ჩვენს თავს ვუყურებთ, მეტოქე კი დიდი წნეხის ქვეშაა, ხელმძღვანელობა მათგან მხოლოდ გამარჯვებას ითხოვს. „დინამოს" ეგონა, ფინალში სტუ-სთან ითამაშებდა და ჩვენთან შეხვედრა ბრაიკოვიჩის გუნდისთვის მოულოდნელობა იყო. მე იმით თავს როდი ვიმშვიდებ, რომ მეტოქეს ცენტრის პოზიციაზე პრობლემები აქვს, სამაგიეროდ, დავით მუშკუდიანსა და ვალერი კილაძეს შორიდან სროლა შეუძლიათ და ყველანაირად ეცდებიან, პერიმეტრისკენ გამიტყუონ: ვნახოთ, არაფერს შევუშინდებით."

არჩილ ჟღენტი, „დინამოს" გათამაშებელი: „ჩემი აზრით, შანსები თანაბარია, გააჩნია, როგორი თამაში წავა. ჩვენი უპირატესობა დაცვაში თამაშია. თუ მეტოქის შეტევების შეჩერება მოვახერხეთ, მერე აღარც თავდასხმაში გაგვიჭირდება. მართალია, „ბასკოს" პრობლემები აქვს და 2 თვეა, ძველებური ინტესივობით ვერ ვარჯიშობს, მაგრამ ეს ხომ პლეი ოფია, თანაც ფინალი. აქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ორი-სამი თამაშისთვის ძალების მობილიზება ნებისმიერ გუნდს შეუძლია, მით უმეტეს, „ბასკოს."

ირაკლი კეიდია, „დინამოს" ფორვარდი: „ის, რომ „ბასკოს" პრობლემები აქვს, არაფერს ნიშნავს. დარწმუნებული ვარ, მეტოქე არაფერს დაგვითმობს და ბოლომდე იბრძოლებს ჩემპიონობისთვის. საერთოდ კი, ვფიქრობ, ჩვენ უკეთ ვართ მომზადებული, რამაზ გოგობერიშვილის სახით კი დიდი ძალა დაგვემატება. ნახევარფინალში ის რომ გვაკლდა, იმიტომ გაგვიჭირდა თსუსთან... უპირატესობა ჩვენსკენაა — სამოცდახუთი ოცდათხუთმეტზე."

ირაკლი პერტაია

პირველი მატჩი
11 მაისი. ვერის ბაღი
მეორე მატჩი
12 მაისი. ვერის ბაღი
მესამე მატჩი
19 მაისი. ვერის ბაღი
მეოთხე მატჩი
თუ საჭირო გახდა
20 მაისი. ვერის ბაღი
მეხუთე მატჩი
თუ საჭირო გახდა
?? მაისი. ბათუმი (?)

ალეკო დავითულიანის სტუ-მ „მოსისხლე" თსუ-ს გამარჯვება „აჩუქა"

მისცა? არ მისცა

ლეჟავა თსუ-ს ზღაპარს მოუყვა

მესამე ადგილისთვის
თსუ 1:1 სტუ

10 მაისი. ვერის ბაღი
თსუ 79:78 სტუ
19:26 7:24 22:16 31:12
თსუ: თორთლაძე (23), მაისურაძე (9), აბრამიძე (3), ორმოცაძე (3), შენგელია (13); ლეჟავა (15), ფანჩულიძე (11), ვეფხვაძე (2), სანიკიძე
სტუ: ნიკოლაძე (11), ხეცურიანი (11), მარკოიშვილი (6), ბაბიაშვილი (20), ოგანესიანი (2); შანიძე (14), ახალკაცი (7), გაგნიძე (5), დავითულიანი (2)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

მატჩის შემდეგ სტუ გასახდელში რომ შევიდა, იქიდან მტვრევის ხმა გამოვიდა. ტექნიკოსები ყოველგვარ წინალობას ბულდოზერივით თელავდნენ, სკამს, კარებს... გასახდელში კიდევ ნაირგვარ საგნებს.

„სტუ-ჯეოსელის" დისკვალიფიცირებულ მწვრთნელ ნუგზარ ჭეიშვილის დაღონებული თანაშემწე ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი კი ადგილს ვერ პოულობდა. ვერის ბაღი მან მალევე მიატოვა და შეგირდების ნაწილს გზის გადაღმა, შუა კოსტავაზე მოუწყო „მეგობრული სასამართლო".

რამ გააცოფა სტუ-ელები? მოგებული მატჩის წაგებამ. თსუ-მ სასწაული თამაში შემოუტრიალა ტექნიკოსებს, უკანასკნელ მეოთხედში 18-ქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრა, გამარჯვების ბურთი ხომ საერთოდ კოსმოსიდან ჩამოვარდა.

სანამ დრამატულ ფინალზე მოგითხრობდეთ (საწყის 3 მეოთხედში არაფერი ყოფილა საინტერესო), ერთ უცნაურ ფაქტზე შევჩერდებით. მესამე მეოთხედში, როცა სტუ 20 ქულაზე მეტით სჯაბნიდა თსუ-ს, ამ მატჩზე მწერალ თითოოროლა ჟურნალისტთან ერთი სტაჟიანი გულშემატკივარი მოვიდა. მე ეგერ, სტუ-ელების სათადარიგო სკამთან ახლოს ვზივარ და მაგათ ისე ეტყობათ, სულაც არ უნდათ ამ თამაშის მოგება, ვეჭვობ, სტუ თამაშს მისცემს თსუ-სო.

მესამე მეოთხედი ისე ჩამთავრდა, მოუნდომებლობის არაფერი ეტყობოდათ ტექნიკოსებს, ვერც ბოლო მეოთხედში შევნიშნეთ რამე გულგრილობა ჩერქეზიშვილის ბიჭებს, მაგრამ საბოლოოდ მაინც ისე გამოვიდა, როგორც იმ გულთმისანმა გულშემატკივარმა თქვა.

სისულელეა თამაშის განზრახ დათმობაზე ლაპარაკი. ჯერ ერთი, ტექნიკოსების ნამატჩევს მოწყობილი ალიაქოთი, კარებებისა და სკამების ლაწალუწი რომ არაფრად ჩავაგდოთ, იმ ჯადო სამქულიანს რაღას ვუზამთ, ლამის მოედნის ცენტრიდან, გვერდით ხაზთან მდგარმა ბესიკ ლეჟავამ ტრიალში რომ ჩააგდო? სტუდენტებს წაგება რომ სდომებოდათ, მარკოიშვილი საფინალო სირენამდე 6 წამით ადრე ორივე საჯარიმოსააცილებდა და ლეჟავასაც აღარ დასჭირდებოდა ალალ ბედზე ნასროლი ბრმა ბურთის მოედნის კიდიდან ჩაგდება.

თსუ-ს ახალგაზრდა უკანახაზელი კი დიდ ქებას იმსახურებს. ამ სეზონში ლეჟავა თითქმის სულ სკამზე იჯდა, ახლა გამოვიდა და 15 ქულასთან ერთად იშვიათი სილამაზის გადამწყვეტი ბურთიც ჩააგდო. მანამდე დავით თორთლაძემ აკეთა სასწაულები, სტუ-ს დაცვა საცერივით დაცხრილა.

საკითხავი ის რჩება, როგორ მოახერხა სტუ-მ ამხელა უპირატესობის ასე მოკლე დროში გაფლანგვა? ბოლო 5 წუთი ზვიად ბაბიაშვილი ეულად ცდილობდა კახა შენგელიას დაჯაბვნას, რაც არ გამოსდიოდა და მაინც არ იშლიდა. ბევრად ტანმაღალი არმენ ოგანესიანი კი სკამზე იჯდა, ისევე როგორც დანარჩენი სტუ — ტექნიკოსთა მწვრთნელს ბოლო წუთებში ერთი შეცვლაც არ გაუკეთებია, ისე გაფლანგა 12-ქულიანი უპირატესობა.

სერიაში ანგარიში გათანაბრდა, გადამწყვეტი მატჩი კი ხვალ გაიმართება...

ირაკლი პერტაია

სარბიელი გამოსაცდელი ვადით სათანამშრომლოდ იწვევს უცხოურ და შინაურ კალათბურთზე, რაგბიზე, კრივზე, ველოსპორტზე, მძლეოსნობასა და სხვა სახეობებზე წერის მსურველ ახალგაზრდებს.

15-დან 17 საათამდე მოგვმართონ მხოლოდ მათ, ვისაც ქართულად ნათლად წერა შეუძლია და ერკვევა ზემოთ ჩამოთვლილ სახეობებში.

სასურველია რომელიმე უცხო ენის ცოდნაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2004 NBA Playoffs

მეტი თავხედობა, ხალხს ეს მოსწონს

9 მაისი

დასავლეთი

სან ანტონიო 2:1 ლეიკერსი

ლეიკერსი 105:81 სან ანტონიო

ლეიკერსი: პეიტონი (15), ბრაიანტი (22), ჯორჯი (5), მელოუნი (13), ონილი (28 ქულა, 15 მოხსნა, 8 დაფარება, 5 პასი); ფიშერი (8), რაში (6), მედვედენკო (4), კუკი (2), უოლტონი (2), რასელი, ფოქსი

სან ანტონიო: პარკერი (8), თუქოლლუ (4), ბოუენი (9), დანკარი (10 ქულა, 13 მოხსნა), ნესტეროვიჩი; ჯინობილი (17), ბრაუნი (16), ვორდი (5), როუზი (4), ვილისი (4), ჰორი (2), ჰარტი (2)

„35 წელი კაცურად მიცხოვრია, ყველგან ჩემი ნიჭი დამითესია. იმდენი და ისეთი ბურთები ჩამიგდია, სხვას რომ არ დაესიზმრება. ჰოდა, თქვენი ჭირიმე, ნუ დამამადლით ერთ ოქროს ბეჭედს. გავხვდები ჩემპიონი „ლეიკერსში" და ჰენსიაზეც გავალ" — გერი პეიტონმა ყველა და პირველ რიგში საკუთარი თავი დაარწმუნა, რომ არავისთვის არაფერი დარჩა დასამტკიცებელი. მხოლოდ ერთი დარჩა — ჩემპიონობის მოგება.

მაგრამ ნბა-ში სახელის გამო არავინ დაგითმობს გზას და კაცურ კაცობაზე მეტად სპორტული თავხედობა ჭრის. ტონი პარკერი ერთი უუმური მულატი ფრანგია და სულ არ აინტერესებს, ოდესღაც პეიტონი მატჩში საშუალოდ 20 ქულას და 8 პასს რომ იხვეჭდა. ამაზე არც ფიქრობდა, როცა „ლეიკერსის" ყავლაგასულ ვარსკვლავს წინა თამაშებში აბითურებდა. 30 ქულა რომ მიიღო მისგან და თავად ათიც ვერ ჩააგდო, მერელა დაფიქრდა პეიტონი, თუ ცოტა მეტად არ მოვინდომე, ეს ბიჭი თვალის დახამხამებაში წამლეკავსო. თანგუნდელებიც დაეხმარნენ აზრზე მოსვლაში, მწვრთნელთან ერთად ერთი მაგრად შეახურეს, ამ საქმეში პრესაც მოიშველიეს და დაარწმუნეს, წარსულზე კი .არა, მომავალზე ეფიქრა.

პეიტონს არტახები არ დაუწყვეტია, მაგრამ შედარებით რიგიანად კი გაისარჯა და მესამე შედარებით რიგიანად კი გაისარჯა და მესამე მატჩში 15 ქულა და 7 პასი გაიღო. პარკერსაც ბეჯითად სდია და „ლეიკერსმა" საწყისი ორი მარცხის შემდეგ შინ „სან ანტონიო" დამაჯერებლად დაამარხცა.

„ყველამ იცის, მე შემიძლია კალათბურთის თამაში. 14 წელია, ნბა-ში ვთამაშობ და ვიცი, რა სად და როგორ უნდა გავაკეთო" — ნამატჩევს პეიტონმა მაინც ვერ შეიკავა თავი და გულზე მუშტი დაიბრაგუნა, ისევ ის გერი ვარო.

არადა, მას, ვთქვათ, კობი ბრაიანტზე ანაც შაკილ ონილზე მეტი ტრაბახი ნამდვილად არ ეკუთვნის, მაგრამ უყვარს კაცს თავისი პერსონის წარმოჩენა — კაცია და გუნება.

„სან ანტონიომ" კი ზედიზედ 17 გამარჯვების შემდეგ პირველად წააგო, თანაც ყოველგვარი გასაჩივრების გარეშე.

აღმოსავლეთი

დეტროიტი 2:1 ნიუ ჯერსი

ნიუ ჯერსი 82:64 დეტროიტი

ნიუ ჯერსი: კიდი (5 ქულა, 12 პასი), კიტლზი (17), ჯეფერსონი (30), მარტინი (13), კოლინზი (2); სკალაბრინი (6), როჯერსი (4), არმსტრონგი (2), უილიამსი (2), ჰარისი (1), სლეი, პლანინიჩი

დეტროიტი: ბილაფსი (2), ჰამილტონი (15), პრინსი (4), რ. ვოლესი (10), ბ. ვოლესი (15 ქულა, 24 მოხსნა); უილიამსონი (7), ჯეიმსი (6), ჰემი (2), კემპბელი (1), ჰენტერი, ოქური

ერთი გამარჯვებით სერიას ვერ მოიგებ, მაგრამ დასაწყისისთვის ამასაც არა უშავს. „ნიუ ჯერსი ნეთსმა" „დეტროიტთან" ორი მარცხის შემდეგ დაიწყო თამაში და კიდევ აქვს იმედი, რომ ყველაფრის გამოსწორება შეიძლება. პლეი ოფების ისტორიას ბევრი არა, მაგრამ რამდენიმე შემთხვევა ახსოვს, გუნდს 0:2 ჩამორჩენის შემდეგ დეფიციტი ამოევსო და სერია მოეგო.

კოტე ყურშია



REUTERS ლოს ანჯელესიდან

გერი პეიტონი, როგორც იქნა, გაფრინდა

მსოფლიოს ჩემპიონატი

24 აპრილი - 9 მაისი. ჩეხეთი (პრაღა, ოსტრავა)

REUTERS პრაღიდან

შვილების რევოლუცია

კანადამ საბჭოთა კავშირი მოიტოვა

9 მაისი

ფინალი

კანადა 5:3 შვედეთი

1:2 2:1 2:0

0:1 ჰოგლუნდი (3), 0:2 ალფრედსონი (8), 1:2 სმიტი (14), 1:3 სალომონსონი (25), 2:3 პიტლი (35), 3:3 რ. ნიდერმაიერი (36), 4:3 ბოუმისტერი (41), კუკი (51)

ვაშა და ტაში კანადას! ჰოკეის საშობლოს წარმომადგენლებმა მერამდენედ გვაჩვენეს ამ ყინულის თამაშის არსი და წარმატების მთავარი რეცეპტი. თან რა მარტივია ეს ყველაფერი — გვკეროდეს საკუთარი თავის და იბრძოლე ბოლომდე, რადგან ჰოკეიში გამოუვალი სიტუაცია არ არსებობს, ყოველთვის შეიძლება გამარჯვებისკენ გზის გაკაფვა.

არადა, გამოუვალი სიტუაციაც ამას ეთქმის — თამაშის 30 წუთი შვედების სრული უპირატესობით წარიმართა. მათ თავიანთი მშვიდი, კომბინაციური ჰოკეი მოახვიეს თავს მეტოქეს და გვარიანადაც გაწვალეს.

პირველ პერიოდში შარშანდელი ფინალის სიუჟეტი განმეორდა, შვედებმა ორი გოლი გაიტანეს, შემდეგ კი კანადამ ერთი გაქვითა. შეგახსენებთ, რომ 2003 წლის ფინალში ამას კანადელთა ორი გოლი მოჰყვა ჯერ მესამე პერიოდში, შემდეგ ოვერტაიმში. ამიტომაც როდესაც ანდრეას სალომონსონმა მესამედ დალაშქრა მეტოქის კარი, ალბათ ყველამ იფიქრა, რომ კანადა ველარ გამოძვრებოდა, თუმც მწარედ შეცდნენ. ოკეანის გაღმელებს სულ ერთი წუთი დასჭირდათ ანგარიშის გასათანაბრებლად და ამის შემდეგ მათი შემჩერებელი აღარავინ იყო. როცა მატჩის და საერთოდ მთელი ტურნირის მთავარმა გმირმა დანი ჰიტლიმ საუცხოო პასი გადააწოდა ჯეი ბოუმისტერს და მცველმაც მეოთხედ დალაშქრა მეტოქის კარი, დასასრულის მოახლოვება შვედებმაც ტანით იგრძნეს. მით უმეტეს, რომ მათ განწირულობას დაღლილობაც დაემატა. 51-ე წუთზე კი მეტ კუკმა რობ ნიდერმაიერის არანაკლებ ლამაზი პასის შემდეგ შთამბეჭდავად დასვა წერტილი.

კანადამ ზედიზედ მეორედ მოიგო მსოფლიოს „ოქრო", ჯამში კი ეს მისის 24-ე გამაიჯვებაა მსოფლიოს ჩემპიონატებზე, ანუ ერთით მეტი, ვიდრე რუსეთის (საბჭოთა კავშირს) აქვს. თუ 2002 წლის ოლიმპიურ „ოქროსაც" გავიხსენებთ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საერთაშორისო ჰოკეიში კანადური ეპოქა დადგა.

მატჩის შემდეგ კანადელებმა ისიც დაანახვეს მაყურებლებს, რომ მარტო თამაში კი არა, გამარჯვების აღნიშვნაც ჩინებულად ეხერხებათ. პარტნიორებს მაგალითი კაპიტანმა რაიან სმიტმა აჩვენა, როცა ბორტს იქით გადავიდა, იქ მჯდომ მეუღლეს ჰაწაწინა ქალიშვილი, იზაბელა, ხელიდან გამოართვა და ყინულზე გასრიალდა. ცოტა ხანში, „შიკა არენას" მოედანი ბავშვებით გაივსო — შვილები მამების ტრიუმფის მონაწილენი გახდნენ.

მე-3 ადგილისთვის

აშშ 1:0 სლოვაკეთი

0:0 0:0 0:0 0:0

ბულიტები 1:0

გადამწყვეტი ბულიტი: როუჩი

აშშ-ში მსოფლიოს ჩემპიონატისადმი მეტ ინტერესს რომ იჩენდნენ, როუჩს ალბათ ძეგლს დაუდგამდნენ „თეთრი სახლის" მიდამოებში. ეხუმრებით, კაცმა ორ გადამწყვეტ მატჩში ორი ბულიტი გაიტანა და აშშ-ს მედალი მოუტანა, 42 წლის განმავლობაში მხოლოდ მესამედ.

მას შემდეგ, რაც როუჩმა ჩეხეთთან მოეთხედფინალში საუცხოო ფინტის შემდეგ გაიტანა, სლოვაკების მეკარე იან ლაშაკი მის განმეორებას ელოდა, მაგრამ გერმანიაში მოთამაშე ჰოკეისტმა ყველა გააოგნა. მის არსენალში თურმე სხვა არანაკლებ ლამაზი ილეთიც ყოფილა. ამჯერად მან მეკარისგან მარჯვნივ გაუხვია და მოუხერხებელი პოზიციიდან შაიბა პირდაპირ ცხრიანში გაუშვა. იგი კარში ჩამონტაჟებულ კამერას მოხვდა და ელვისებურად უკანვე გამოვარდა. ასე რომ, მსაჯებს ვიდეოჩანაწერის ნახვაც კი დასჭირდათ, თუმც უნდა ითქვას, რომ ამჯერად როუჩის ყველა ამერიკელმა მოჰბაძა — ოთხი შესრულებული ბულიტიდან ყველა გამოიყენეს. სლოვაკებმა კი პირველი ორი იღბლიანად დაარტყეს, ორიც გააცუდეს და ტურნირის ეს მშვენება გუნდი უმედლოდ დარჩა. თუმც აშშ-ს ნაკრებმა სავსებით დაიმსახურა ბრინჯაო. ბულიტების სერია პრაქტიკულად ერთადერთი დასამახსოვრებელი იყო ამ თამაშში. ჩვეულებრივ, მესამე ადგილისთვის მატჩში გახსნილი, შემტევი ჰოკეი იმართება, მაგრამ ამჯერად მეტოქეებმა განსაკუთრებით იზრუნეს დაცვაზე. ამიტომ ყველაზე საინტერესო მომენტი ის გამოდგა, როცა ერთ-ერთმა ამერიკელმა აყლაყუდა სლოვაკ ზდენო ხარას (207 სმ, 120 კგ) ყვანჯი ფეხებშუა ამოსდო და გიგანტი ყინულზე გააგორა.

სამველ ღარიბიანი

ტურნირის უძვირფასესი მოთამაშე: დანი ჰიტლი (კანადა)

ტურნირის სიმბოლური ნაკრები: ჰენრიკ ლუნდკვისტი (შვედეთი); დიკ ტარნსტრიომი (შვედეთი) — ზდენო ხარა (სლოვაკეთი); დანი ჰიტლი (კანადა) — ვილე პელტონენი (ფინეთი) — იარომირ იაგრი (ჩეხეთი)

ბომბარდირები: ჰიტლი (კანადა) 11(8+3); პელტონენი (ფინეთი) 10(4+6), იაგრი (ჩეხეთი) 9(5+4); რუჩინსკი (ჩეხეთი) 9(5+4); იოკინენი (ფინეთი) 8(5+3); პარკი (აშშ) 8(5+3); დემიტრა (სლოვაკეთი) 8(4+4); შატანი (სლოვაკეთი) 8(4+4); ბრიარი (კანადა) 8(2+6)

პლეი ოფი. მეორე წრე

9 მაისი

დასავლეთი

სან ხოსე 0:1 კალგარი

სან ხოსე 3:4 კალგარი

0:2 2:0 1:1 0:1

0:1 ოლივა (10), 0:2 კონროი (20), 1:2 რიჩი (22), 2:2 ჰარკი (40), 2:3 კონროი (50), 3:3 კოროლიუკი (57), 3:4 მონტადორი (79)

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალბურთელებმა ხელი მოუსვეს და გადარჩნენ
გკბენენ, ესე იგი, კარგი ხარ

განგებაა, ღვთის წყალობა, დამთხვევა თუ კანონზომიერება, ვერ გეტყვით, მაგრამ საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა თუ ვინმეს დაებედა კარგად, ეს, უწინარეს ყოვლისა, თავად საქართველო და მისი ჭაბუკი წყალბურთელები არიან. მას შემდეგ, რაც ეს თეთრ-წითელი დროშა ავაფრიალეთ, ჩვენი ქვეყნის საქმე სულ წაღმა ტრიალებს და ჭაბუკი წყალბურთელებიც ერთი მეორის მიყოლებით იგებენ შეხვედრებს.

ჰოდა, ერთი ასეთი გამარჯვების, უფრო სწორედ, ამას წინათ მოსკოვში რუსეთის პირველობის მოგების მერე ხუთჯვრიანმა დროშამ სიხარულით გადარეულ ჩვენს წყალბურთელებთან ერთად იქაურ აუზში იბანავა. ამ გამარჯვებით საქართველოს პრეზიდენტმაც ფრიად გაიხარა და ტრიუმფატორი გუნდი შინ დაბრუნებისთანავე მიიღო. პრეზიდენტმა სწორედ მაშინ აღუთქვა დახმარება უსახსრობით ცოტა არ იყოს ნირწამხდარ წყალბურთელებს, ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირზე გასამგზავრებელ თანხას გამოვიძებნითო.

თუ როგორ დასრულდა ეს ყველაფერი და სოფიაში გამართული შეხვედრები, „სარბიელის“ მკითხველმა კარგად იცის.

და მაინც, ყოველი შემთხვევისთვის შევახსენებთ: ოთხი შეხვედრა, ოთხი მოგება და ჯგუფში დაკავებული პირველი ადგილი.

სოფიიდან ჩვენი გუნდის წევრები გუშინ გამთენიისას დაბრუნდნენ, მათ უფროს მწვრთნელ სოსო მაისურაძეს კი სულის მოთქმაც არ ვაცალეთ და იქაურ ბრძოლებზე გავესაუბრეთ.

— სოფიაში გამგზავრებამდე სლოვენიელები ტურნირის უპირველეს ფავორიტებად მიგაჩნდათ, პირველები კი მაინც თქვენ აღმოჩნდით.

— სლოვენიელებს შარშანდელ ანალოგიურ ტურნირზეც შევხვდით და ფრედ — 6:6 ვეთამაშეთ. მაშინაც და ახლაც ფინალური ეტაპის საგზურები ჩვენ და სლოვენიელებმა მოვიპოვეთ. ეს კარგად იცოდნენ მასპინძლებმა და ახლანდელი საგზურისთვის მთავარ მეტოქეებად სწორედ ჩვენს გუნდებს თვლიდნენ. ამიტომ ბულგარელებმა ისე შეადგინეს ტურნირის განრიგი, როგორც თავად სურდათ და პირველსავე დღეს ჩვენ და სლოვენია შეგვახვედრეს.

გულახდილად რომ გითხრათ, სლოვენიასთან გამარჯვება მე პირადად მეეჭვებოდა, მაგრამ ამას არ ვამხელდი და გუნდს თავდაუზოგავი ბრძოლისთვის ვაგულიანებდი. ბიჭებმა მართლაც ყველაფერი გაიღეს და გაიმარჯვეს კიდეც. თამაში, როგორც იტყვიან, თავიდანვე აგვეწყო. ჩვენს დამაჯერებელ გამარჯვებაში ანგარიშიც მეტყველებს — 8:4. თუმცა, ეს შეხვედრა მეტი უპირატესობითაც უნდა მოგვეგო, მაგრამ ბურთის გატანის ბევრი შანსი ხელიდან გავუშვით. ყველამ კარგად ითამაშა, მაგრამ მე მაინც მეკარე ზურაბ ჭუმბურიძეს გამოვარჩევდი. ჩვენი გამარჯვების ბედი, პრაქტიკულად, მან გადაწყვიტა.

— ჩვენი გუნდის შეხვედრათა ანგარიშებიდან გამომდინარე, ყველაზე ძნელ გამარჯვებას ბულგარელებთან მიაღწიეთ.

— ასეც იყო. ბულგარელები სლოვენიელებთან დიდი ანგარიშით 5:10 დამარცხდნენ. ფინალის საგზური რომ მოეპოვებინათ, მასპინძლებს ჩვენთვის და უკრაინელებისთვისაც აუცილებლად უნდა მოეგოთ, სხვა შანსი კი მათ არ ჰქონდათ. ბულგარელებმა უკრაინელებს მართლაც სძლიეს, ჩვენთან კი ვერას გახდნენ, თუმცა, ძალიან მძიმე ბრძოლა კი გადავიტანეთ. მასპინძლებთან შეხვედრაში ჩვენი წყალბურთელებისთვის ტრადიციულად ძველმა სენმა იჩინა თავი. ეს ის სენია, როცა ქართველი წყალბურთელები ძლიერებთან ბრძოლის ჟინით აღვსილნი გამოდიან, შედარებით სუსტთან კი ამგვარ განწყობას ვერ იქმნიან.

ახლაც ბულგარეთის ნაკრები მთავარ მეტოქედ არ გვესახებოდა და მასთან საბრძოლველად ბიჭები სათანადოდ შემართულნი ვერ გამოვიდნენ. ბულგარელებს ბევრი ისეთი ბურთი ვერ გავუტანეთ, რომელსაც სხვა შემთხვევაში ასიდან ერთს თუ გავაცუდებდით. ამას ისიც დაემატა, რომ მასპინძლები ძალზე ბინძურად გვეთამაშნენ. მათ გამარჯვება ნებისმიერ ფასად დაისახეს და ამისთვის ყველაფერს აკეთებდნენ: ჩვენს ბიჭებს წამდაუწუმ უღრენდნენ, ურტყამდნენ და... კბენდნენ კიდეც. მასპინძლები ამგვარად ცდილობდნენ ჩვენი ბიჭების გამოწვევას, რათა როგორმე მსაჯს ვინმე სარბიელიდან შეცვლის უფლების გარეშე გაეძევებინა და შეხვედრის ბოლომდე რიცხობრივი უპირატესობით ეთამაშათ.

საბედნიეროდ, ჩვენი ბიჭები მათ პროვოკაციებს არ აჰყვნენ. რაც შეეხება ანგარიშს, თანაბარი იყო, მაგრამ მესამე პერიოდში მასპინძლები დაწინაურდნენ, ბოლოს კი გამარჯვების სასწორი მაინც ჩვენს მხარეს გადმოიხარა.

ბოლო ტურში კვიპროსელებთან ჩვენი შეხვედრა ალარაფერს სწყვეტდა. ჩვენ ევროპის პირველობის ფინალური ეტაპის საგზური ჯიბეში გვედო და ეს შეხვედრა იოლად მოვიგეთ.

— შარშანაც და მანამდეც ჩვენი გუნდის ბრძოლების მთელი სიმძიმე ექვსი-შვიდი კაცის ზურგზე გადადიოდა. ახლა რაკი კვიპროსთან შეხვედრა ალარაფერს წყვეტდა, მასთან ალბათ გუნდის დანარჩენ წევრებსაც თამაშის შესაძლებლობასა და თავის გამოცდის საშუალებას მისცემდათ.

— აქამდე მართლაც ბრძოლების მთელი სიმძიმე ექვს-შვიდ კაცზე გადადიოდა, მაგრამ ახლა ჩვენი გუნდის ყველა წევრმა ყველას წინააღმდეგ ითამაშა, მათ შორის მცველმა ტატო ნიკოლაიშვილმაც, რომელიც შარშან სულ სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

ძალიან კმაყოფილი ვარ ილია ბუტიკაშვილის გამოსვლითაც, რომელიც ცენტრალური თავდამსხმელის ადგილზე თამაშობდა. ჩვენს გუნდში ამ ფუნქციას გიორგი ბიბილეიშვილი ასრულებს, მაგრამ ახლა, ცოტა არ იყოს საბრძოლო ფორმაში ვერ არის და ამიტომ გუნდს ბუტიკაშვილზე გადაწყობა მოუხდა, რაც კარგად გამოგვივიდა.

გუნდთან შეთამაშება ვერ მოასწრო მოსკოვის დინამოელმა თამაზ მანძულაშვილმა, რომელიც სოფიაში გამგზავრებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე სხვა ლეგიონერებთან ერთად შემოგვიერთდა. თუმცა, მანძულაშვილი, როგორც ჩვენი გუნდის კაპიტანი, სარბიელზე მაინც ძალზე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო.

ლეგიონერთაგან ჩვენს გუნდს კარგად მოერგო მოსკოვის სსფ ცსკში მოთამაშე ირაკლი გოგელია. დინამოელ მეკარე ზურაბ ჭუმბურიძის სლოვენიელებთან კარგ თამაშზე უკვე მოგახსენეთ და მან სხვა შეხვედრებშიც გამოიჩინა თავი ისე, როგორც მისმა მოსკოველმა თანაგუნდელმა მიხეილ ბალათურიამ.

აკადემიურად თამაშობდა ზურაბ რურუაც...

— ჩვენს ბიჭებს რაიმე პრიზები ხომ არ მოუპოვებიათ, ვთქვათ, საუკეთესო მეკარის, თავდამსხმელის, ბომბარდირის...

— ასეთი პრიზები არ ყოფილა, მაგრამ რომ დაეწესებინათ, უთუოდ მოიპოვებდნენ, თუნდაც ბომბარდირისას, რადგან მთელ ტურნირზე ამ მხრივ თავი ყველაზე მეტად გამოიჩინა რურუამ, რომელმაც თერთმეტჯერ დალაშქრა მეტოქეთა კარი. ამ მხრივ მეორე ადგილები გაიყვეს ბუტიკაშვილმა და ტატო ნიკოლაიშვილმა, რომლებიც რურუას მხოლოდ თითო ბურთით ჩამორჩნენ.

— ეს ტურნირი უკვე ისტორიას ჩაბარდა, ფინალურ ეტაპამდე რა გეგმები გაქვთ, როგორ აპირებთ გადამწყვეტი შეხვედრებისთვის სამზადისს?

სოსო მაისურაძე

— გუნდის მოსამზადებლად აუცილებელია ორ ტურნირში გამოსვლა. ამათგან ერთი პოლონეთში გაიმართება, მეორე თურქეთში. თურქეთის ტურნირზე ძალზე ძლიერი შემადგენლობა იქნება, მათ შორის იუგოსლავიის, უნგრეთის, რუსეთის, ესპანეთის, ამერიკისა და კიდევ 5 ქვეყნის გუნდები.

პოლონეთში ექვსი გუნდი მოიყრის თავს. მათგან ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი გერმანელებთან თავის გამოცდა იქნება და პოლონეთის გუნდიც საინტერესოდ გვეჩვენება.

ამას გარდა, სპარინგპარტნიორად ერთი გუნდი მაინც გვჭირდება. შინ ასეთი არავინაა, რადგან „ლაგუნა ვერეს“ კომპლექსში მოვარჯიშე ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლის მეტი აქ არც არსებობს. ამიტომ ან ვინმე უნდა მოვიწვიოთ, ან თავად ვესტუმროთ, ეგაა, საამისოდ სახსრები არ გაგვაჩნია.

ავთანდილ გურასაშვილი

თიხნარსიცარიელე ამოიავსო
ვინუსი კოჭმა გააგორა

REUTERS როიტერი

ვინუსის ტრავმამ ტიტული ამელი მორესმოს დაუტოვა

LADIES GERMAN OPEN
ბერლინი. თიხნარი
საპრიზო 1,3 მილიონი $

ფინალი

ამელი მორესმო (2, საფრანგეთი) — ვინუს უილიამსი (3, აშშ) *უილიამსმა ვერ ითამაშა*

ამელი მორესმოსა და ვინუს უილიამსს აქამდე სულ ექვსჯერ ეჩოგნავათ და ამ ექვსიდან ხუთი ამერიკელის გამარჯვებით დასრულებულა. ვინუსთან პაექრობის მოგება ფრანგმა დედათმავალმა მხოლოდ ერთხელ — შარშანდელი ვარშავობის ფინალში შეძლო და ისიც იმის გამო, რომ სერენას უფროსმა დამ მატჩი მუცლის ტრავმის გამო შეწყვიტა.

ბედმა და საჩოგბურთო განრიგმა მორესმო და ვინუსი ერთმანეთს წლევანდელი ვარშავობის მომდევნო კვირაში და ისევ სატიტულე მატჩისთვის შეჰყარა. ოღონდ ამერიკელს ამ ჯერზე ჩოგნის ქნევა საერთოდაც აღარ უცდია — ნახევარფინალში, კაროლინა სპრემის წინააღმდეგ ბუქნაობისას გადაბრუნებულმა მარცხენა კოჭმა ვინუსს ბოლო ოთხ კვირაში (ჩარლსტონობისა და ვარშავობის შემდეგ) ზედიზედ მესამე ტიტულისთვის ბრძოლაზე უარი ათქმევინა. და ბერლინურ ტიტულს ვინლა ჩივის, დასტურ ცნობილი ისიც კი არ არის, შეძლებს თუ ვერა იგი ორი კვირის შემდეგ დასაწყებ როლანგაროსობაში მონაწილეობას.

მორესმოს კი კარიერის მე-11 და წლის პირველი ტიტული 189 ათას დოლართან ერთად ფინალური ბრძოლის გარეშე ერგო. შეგახსენებთ, რომ ბერლინურ თიხნარზე მას აქამდე 2001 წელსაც ემარჯვა, რაგინდარა ტიტული კი ბოლოჯერ გასულ ნოემბერში, ფილადელფიურ ტურნირზე იშოვა.

იმედგაცრუებული ვარ, ფინალი უბრძოლველად რომ მოვიგე, მაგრამ ნუგეშად ისიც დამრჩება, რომ ნახევარფინალში ჯენიფერ კაპრიატის წინააღმდეგ ჩინებულად ვითამაშეო, ამბობდა მორესმო მერე და — ღია ღმერთო — არც გაემტყუნებოდა.

მასტერსის სერია
რომი. თიხნარი
საპრიზო 2,425 მილიონი

ფინალი

კარლოს მოია (6, ესპანეთი) — დავიდ ნალბანდიანი (5, არგენტინა) 6:3, 6:3, 6:1

კარლოს მოიას აქამდე ყველა მნიშვნელოვანი სათიხნარო ტურნირი მოეგო — თავის როლანგაროსიანად და მონტეკარლოიანად. მაგრამ რომაულ მასტერსკორტზე ვერ ექნა და მეოთხედფინალს ვერ გასცდენოდა. ამ კვირის შემდეგ მის თიხნარზარდახშაში ეს სიცარიელეც ამოვსებულია — 27 წლის მალიორკელმა ფინალში საუცხოოდ იჩოგნავა და არგენტინელ დავიდ ნალბანდიანს გასაბრძოლებლად ფიორა შანსიც არ დაუთმო.

„ეს ძალიან მძიმე კვირა იყო — ამბობდა ის ნამატჩევს — წვიმიანობის გამო კორტზე ლამის მთელ დღეებს ვატარებდით, დილიდან საღამომდე აქ გვიხდებოდა ყოფნა. მაგრამ ამის მიუხედავად მე შევძელი, არ მოვდუნებულიყავი, მოტივაცია არ განმქარვებოდა და ბოლომდე ჯიგრიანად მებრძოლა.“

სტაბილური და ნატიფი ბურთაობის ჯილდოდ მოიას 396 ათას დოლართან ერთად კარიერის მე-17 და სეზონის მესამე ტიტული ერგო. შეგახსენებთ, რომ წლეულს მან უკვე მეხუთე ფინალში ითამაშა და — თუკი სიდნეისა და ბუენოს აირესში დამარცხდა — რომის გარდა ჩენაისა და აკაპულკოში იპირველა.

მის დარად სამ-სამ ტიტულს წლეულს მხოლოდ როჯერ ფედერერი და დომინიკ ჰრბატი მოიძევენ, მაგრამ, აი, 33 გამარჯვება კი მის გარდა არავის დაეკვეხნება — ენდი როდიკის ანგარიშზე მხოლოდ 32 მოგებაა. პირველობს მოია საკუთრივ სათიხნარო თვალსაზრისითაც — ოთხი მარცხის წილ ამ საფარზე მას 21-ჯერ უმარჯვია და იმიტომ.

სხვაფრივ — ნალბანდიანი მოიას ამ მატჩამდე 2:1 უგებდა და, შესაბამისად, ახლა ისინი უკვე ბარიბარში არიან.

ლევან ქელაურაძე

ბარონი ბეგრეგის კლუბში

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

საფორმულო სტატისტიკა ყველაფერს ითვლის და აფიქსირებს. უმთავრესი, რა თქმა უნდა, საჩემპიონო ტიტულებია, შემდეგ — მოგებული რბოლები, პოულები, ქულები... საპატიო მიღწევათა შორისაა ჩატარებულ რბოლათა რაოდენობაც, თუმც ეს მაჩვენებელი უფრო პილოტის სტაბილურობაზე მეტყველებს და შედარებით ნაკლებ კავშირშია ოსტატობასთან. მაგალითად, იტალიელმა ანდრეა დე ჩეზარისმა 208-ჯერ გაიჯირითა, მაგრამ ერთი დიდი პრიზის მოგებაც ვერ შეძლო. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ, არგენტინელ ხუან-მანუელ ფანხიოს კი რვა სეზონში მხოლოდ 51 რბოლა დაუგროვდა. აბა, რა მისი ბრალია, რომ 50-იანი წლების ჩემპიონატებში მხოლოდ 6-7 ეტაპი შედიოდა

ყველაზე ეტრბოლიანთა ოცეული

	მრბოლი	ქვეყანა	რბოლა	მოგება
1	რიკარდო პატრეზე	იტალია	256	6
2	გერჰარდ ბერგერი	ავსტრია	210	10
3	ანდრეა დე ჩეზარისი	იტალია	208	0
4	ნელსონ პიკე	ბრაზილია	204	23
5	ჟან ალეზი	საფრანგეთი	201	1
6	მიხაელ შუმახერი	გერმანია	200	75
7	ალენ პროსტი	საფრანგეთი	199	51
8	მიქელე ალბორეტო	იტალია	194	5
9	ნაიჯელ მენსელი	დიდი ბრიტანეთი	187	31
10	რუბენს ბარიკელო	ბრაზილია	185	7
11	გრემ ჰილი	დიდი ბრიტანეთი	176	14
	ჟაკ ლეფიტი	საფრანგეთი	176	6
13	ნიკი ლაუდა	ავსტრია	171	25
14	ტიერი ბუტსენი	ბელგია	163	3
15	მიკა ჰაკინენი	ფინეთი	162	20
	დევიდ კულჰარდი	დიდი ბრიტანეთი	162	13
17	აირტონ სენა	ბრაზილია	161	41
	ჯონი ჰერბერტი	დიდი ბრიტანეთი	161	3
19	მარტინ ბრანდლი	დიდი ბრიტანეთი	158	0
20	ჰაინც-ჰარ. ფრენცენი	გერმანია	157	3

კვირას ბარსელონაში ესპანეთის დიდი პრიზის გათამაშება მიხაელ შუმახერისთვის ზესაიუბილეო, მე-200 რბოლა გახლდათ. ფორმულა ერთის 55-წლიან ისტორიაში თითზე ჩამოსათვლელნი არიან მძღოლები, რომლებმაც ამ ზღვარს მიაღწიეს. მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი „ორასიანელთა კლუბის“ მეექვსე წევრი გახდა და ცხადია, ყველაზე ტიტულიანი. ბრაზილიელ „პრინც“ ნელსონ პიკეს აქტივში „მხოლოდ“ სამი გვირგვინია.

256-ეტაპიანი რეკორდი, უკვე 11 წელია, იტალიელ რიკარდო პატრეზეს საკუთრებაა. ამ ფენომენალური შედეგისთვის პადუელმა 17 სეზონი ირბოლა. შუმახერი 35 წლისაა და მართალია, ფორმულიდან წასვლას არ ჩქარობს, არა გვგონია, 1992 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის მიღწევის გაუმჯობესება შეძლოს. საამისოდ „წითელი ბარონი“ 2007 წლის ბოლომდე უნდა უჯდეს საჭეს. საეჭვოა, მას ამდენი ხანი ხალისი შერჩეს და „სამეფო რბოლებს“ შემორჩეს.

სადღეისოდ რიკარდოს რეკორდის გაუმჯობესების ყველაზე კარგი შანსი მიხაელის თანაფერარელ რუბენს ბარიკელოს აქვს. ბრაზილიელი ჯერ 31 წლისაა და თუ სამუშაოზე გულს არ აიცრუებს, ოთხი სეზონის შემდეგ პატრეზეს ტახტიდან ჩამოაბრძანებს.

გია ახალაძე

მიხაელ და კორინა შუმახერები ესპანეთის დიდი პრიზით ხარობენ

ჯირო დიტალია 2004. 8-31 მაისი

წრე მილანში შეიკვრება

ამ უქმეებზე ლიგუიის ზღვის განაპირა გენუაში 87-ე „ჯირო“ დაიწყო და სამ ჯვირაში და სამნახევარი ათასი მეტრის შემდეგ მილანში დასრულდება. „ჯირო დიტალია“ სეზონის პირველი დიდი ველოწრეა. მას მოსდევს ფრანგული ტური და ესპანური ვუელტა.

პროლოგი 8 მაისი. გენუა. 7კმ

1	ბრედლი მაკგი (ავსტრალია) FDJeux.com	8 წუთი, 30 წამი
2	ოლაფ პოლაკი (გერმანია) გეროლშტეინერი	+10 წმ
3	იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა) ლენდბუკრედიტი	+20 წმ

პირველი ეტაპი 9 მაისი. გენუა — ალბა. 163კმ

1	ალესანდრო პეტაკი (იტალია) ფასა ბორტოლო	3 სთ, 41 წთ, 56 წმ
2	ოლაფ პოლაკი (გერმანია) გეროლშტეინერი	
3	კრეზენცო დამორე (იტალია) აკუა & საპონე	ორივე იგივე დრო

მე-2 ეტაპი 10 მაისი. ნოვი ლიგური — პონტრემოლი. 148კმ

1	დამიანო კუნეგო (იტალია) საეკო	4 სთ, 37 წთ, 8 წმ
2	ბრედლი მაკგი (ავსტრალია) FDJeux.com	
3	კრისტიან მორენი (იტალია) ალესიო-ბიანკი	ორივე იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1	ბრედლი მაკგი (ავსტრალია) FDJeux.com	8 სთ, 27 წთ, 22 წმ
2	იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა) ლენდბუკრედიტი	+32 წმ
3	გერჰარდ ტრამფუში (ავსტრია) აკუა & საპონე	+36 წმ
4	დამიანო კუნეგო (იტალია) საეკო	+37 წმ
5	კრისტიან მორენი (იტალია) ალესიო-ბიანკი	+39 წმ

ჯალენდარი

პროლოგი	8 მაისი	გენუა	7 კმ
I ეტაპი	9 მაისი	გენუა — ალბა	149კმ
მე-2 ეტაპი	10 მაისი	ნოვი ლიგური — პონტრემოლი	183კმ
მე-3 ეტაპი	11 მაისი	პონტრემოლი — კორნო ალე სკალე	190კმ
მე-4 ეტაპი	12 მაისი	პორეტა ტერმე — ჩივილეტა	187კმ
მე-5 ეტაპი	13 მაისი	ჩივილეტა — სპოლეტო	174კმ
მე-6 ეტაპი	14 მაისი	სპოლეტო — ვალმონტონე	163კმ
მე-7 ეტაპი	15 მაისი	ფროსინონე — მონტეევერჯინი	211კმ
მე-8 ეტაპი	16 მაისი	ჯიფონი ვალე პიანა — პოლიკორო	234კმ
მე-9 ეტაპი	17 მაისი	პოლიკორო — კაროვინო	144კმ
	18 მაისი	დასვენების დღე	
მე-10 ეტაპი	19 მაისი	პორტო სანტ ელპიდიო — ასკოლი	145კმ
მე-11 ეტაპი	20 მაისი	პორტო სანტ ელპიდიო — ჩეზენა	228კმ
მე-12 ეტაპი	21 მაისი	ჩეზენა — ტრევიზო	216კმ
მე-13 ეტაპი	22 მაისი	ტრიესტი — ალტოპიანო	52კმ
მე-14 ეტაპი	23 მაისი	ტრიესტი — პულა (ხორვატია)	166კმ
მე-15 ეტაპი	24 მაისი	პორეცი — სან ვანდემიანო	229კმ
მე-16 ეტაპი	25 მაისი	სან ვანდემიანო — ფალცესი	215კმ
	26 მაისი	დასვენების დღე	
მე-17 ეტაპი	27 მაისი	ბრუნიკო — ფონდო სარნონიკო	158კმ
მე-18 ეტაპი	28 მაისი	ქლეს ვალ დი ნონი — ბორმიო	120კმ
მე-19 ეტაპი	29 მაისი	ბორმიო — პრეზოლანა	121კმ
მე-20 ეტაპი	30 მაისი	კლუზონე — მილანი	144კმ

სრული დისტანცია 3,435კმ





ირაკლი ლაბაძემ ჰამბურგის მასტერსტურნირი გამარჯვებით დაიწყო — პირველ წრეში არგენტინელი ხუან იგნასიო ჩელა 6:0, 3:6, 7:6 დაამარცხა

გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XXXII ტური

ობერჰაუზენი 1:2 ალემანია

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. II ტური

იარო 3:1 კტპ
ჰიკ 4:1 ჯაზი
ინტერი 4:2 ლაჰტი
მიუპა 3:1 ჰაამეენლინა
როვანიემი 1:3 ჰაკა
ტამპერე 1:0 ალიანსი

ფეხბურთი

საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
XXXV ტური

ტრუა 3:3 ლორიანი

ფეხბურთი

ალსვენსკა. VI ტური

ჰამარბი 0:1 ტრელებორგი
ჰელსინგბორგი 1:2 გიოტებორგი
იორგრიტე 2:2 იორეებრო

სუპერეტა. IV ტური

იოსტერსი 2:0 ვესტეროსი
ენკიოპინგი 0:2 გეფლე

ნორვეგია

ტიპელიგა. V ტური

ტრომსიო 4:1 რუსენბორგი

სლოვაკეთი

I ლიგა. გადადებული მატჩი

ინტერი 1:1 რუზომბეროკი

REUTERS

კვლავ შუმი

ეს მიხაელ შუმახერი ხომ ჩემპიონია და ჩემპიონია. ცხადია, მონტმელოც მას დარჩა, თუმც კი ცოტა გაწვალდა. შუმი სხვა ვარსკვლავს, ჰოლივუდელ ბობოლას, მაიკლ დუგლასს სწორედ კატალონიური გამარჯვების შემდეგ ესაუბრება.

REUTERS

ჯირო გახურდა

გახურდა ჯირო, იტალიის დიდი ველომეჯიბრი. პირველი დღე: გენუა — ალბა. გზის პირას სავონას ნავსადგური და ჯადოსნური „კოსტა ფორტუნა".



REUTERS

რუსი იგებს

ასე ვერ იცნობ რუს მოსინქრონე ანასტასია ერმანოვას. თუმცა, რასაც იცნობ, ისიც საკმარისია. მადრიდში კი დასრულდა ევროპის ჩემპიონატი სინქრონულ ცურვაში. რუსებმა ოქრო მოიგეს, მასპინძლებმა ვერცხლი, ფრანგებმა ბრინჯაო.

ლეიკერსული საჩვენი

„სტეიპლზ სენთერში" ენბეის პლეი ოფის ვახურვებულ? და ჰა თუ მაყურებლად, ჰა თუ მოთამაშედ, ვარსკვლავი ვარსკვლავზე მოდის. ბენ აფლეკი ღიმილით შესცქერის მთაკაც შაკის, რომელიც მთელი არსით თამაშის გამო ჩაფიქრებულა.



REUTERS

ესეც ბიჭი

შეიქნა კანადა მსოფლიოს ჩემპიონი ჰოკეიში, დასძლია შვედები ფინალში და თასიც ზედიზედ მეორედ მიიღო. ჰოდა, კანადელ მეტ კუკს, თავისი პატარა ამ მსოფლიოს თასში ჩაუჯენია და ხარობს. კანადა ჩემპიონია!



REUTERS

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge